გაზეთი ზევრიას, „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№49 (1075) 6 - 7 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ ბელგიის საპატიო კონსულთან

გვ. 5

„სახელებისა და გვარების შესაცვლელად რამდენიმე მილიონის დახარჯვა არასწორი მგონია“

გვ. 3

სურდა თუ არა სპორტის მინისტრის პორტფელი და რას ფიქრობს ახალ მინისტრზე ლუკა კურტანიძე

„ყიფიანს ჩვენკენ ერთი ნაბიჯიც რომ გადმოედგა და თუნდაც ერთი შეცდომა ეღიარებინა, დღეს თავის ადგილზე იქნებოდა“

„პირველად თქვენ გეუბნებით, ეროვნული მოძრაობა და ნაციონალები უნდა გაერთიანდნენ“

გვ. 4

რას ითხოვს და რას აპირებს ირაკლი წერეთელი 26 მაისს

თბილისელები „სი-ტი პარკის“ წინააღმდეგ

რის საფუძველზე შეუძლიათ მძღოლებს ჯარიმების გასაჩივრება

გვ. 9

პაატა დავითაია საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომას წინასწარმეტყველებს

გვ. 4

„შეეწირება“ თუ არა რიგის სამიტს თამარ ბერუჩაშვილი

„ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ თავმჯდომარე „ვერსიას“ ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს

გვ. 7

„ქურდი ციგანას“ აღიარებითი ჩვენება

როგორ გაძარცვა ბოშა ქურივმა ბარონი და რატომ თქვა შვილმა მასზე უარი



გვ. 6

კვენიმინის ლეგენდები

შინაგან საქმეთა მინისტრი გერმანელ კოლეგას შეხვდა

გვ. 2

შინაგან საქმეთა მინისტრი გერმანელ კოლეგას შეხვდა

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ ტომას დე მეზიერს შეხვდა. მხარეებმა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული პროგრესი, საპოლიციო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრებმა კომენტარები გააკეთეს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა: **„ეს იყო ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი გერმანიაში, მეორედ შევხვდი გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრს. პირველი შეხვედრა მქონდა ლატვიაში, რიგაში, არაოფიციალური, მინისტერიალზე როცა ვიყავით ჩასულები. ვისაუბრეთ ბატონ მინისტრთან ვიზა ლიბერალიზაციის თემაზე, ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ჩვენი ქვეყნისთვის. ასევე გვქონდა საუბარი ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლაზე. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ თანამშრომლობა, რომელიც, ვიმედოვნებ, უფრო გაღრმავდება იქიდან გამომდინარე, რომ მალე გერმანიაში ჩამოვა ჩვენი პოლიციის ატაშე და რა თქმა უნდა, ეს უფრო გაამარტივებს ჩვენს ურთიერთობას“.**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა განაცხადა: **„ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს საქართველოს ახალ მთავრობასთან. შარშან გავაფორმეთ შეთანხმება, რომლითაც დავადასტურეთ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის სურვილი. გერმანიის ფედერაციის კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი იმყოფებოდა საქართველოში, ჩემი ქართველი კოლეგის წინამორბედი იმყოფებოდა აქ გერმანიაში. ჩვენ განვაახლეთ ეს თანამშრომლობა, ჩვენ არ გვსურს, საქართველოს კარგი რეპუტაცია ბოროტად გამოიყენონ ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლებმა და ზიანი მიაყენონ ჩვენს კარგ ურთიერთობებს, ამიტომ გვინდა, რაც შეიძლება მჭიდროდ ვითანამშრომლოთ, რათა კრიმინალებს საქართველოსა და გერმანიაში არავითარი მომავალი არ ჰქონდეთ“.**

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრა გამართა ბუნდესტაგის საშინაო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვოლფგანგ ბოსბახთან. საუბარი ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას, ევროინტეგრაციის საკითხებს და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას შეეხო.

ვახტანგ გომელაური ასევე ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტ ჰოლგერ მიუნხს შეხვდა. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე, სამომავლო გეგმებსა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და გერმანიის შს სამინისტროებს შორის თანამშრომლობა ბოლო წლებში აქტიურ ფაზაში შევიდა. 2014 წლის 8-10 ივლისს განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლის ფარგლებშიც ხელი მოეწერა შეთანხმებას **„საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“.**

„ვერსიანიუსი“

გიგი უგულავა პატიმრობაში რჩება

მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა წინასწარ პატიმრობაში რჩება.

უგულავას უფლებების დამცველები მიიჩნევდნენ, რომ ყოფილი მერის პატიმრობაში დატოვება არაკონსტიტუციური იყო, რადგან წინასწარი პატიმრობის ვადა 2 აპრილს გაუვიდა.

„მოსამართლემ ფეხქვეშ გათელა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უთხრა, რომ ეს არა კოდექსი, არამედ რაღაც ნაჯღაბნია და რაც ყველაზე მთავარია, სისხლის სამართლის საქმის მასალებთან დაკავშირებით გააკეთა ზუსტად ისეთი ინტერპრეტაცია, როგორსაც ისურვებდა საქართველოს ხელისუფლება გიორგი უგულავას პოლიტიკური დევნის ფარგლებში“, — განაცხადა გიგი უგულავას ადვოკატმა, ბექა ბასილიამ.

ბრალდების მხარე კი მოსამართლის გადაწყვეტილებას ლოგიკურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ უგულავას პატიმრობა კანონთან სრულ შესაბამისობაშია.

„ჯერ კიდევ 15 მარტს სასამართლომ მიიღო ჩვენი არგუმენტები და ჩათვალა, რომ პატიმრობა მიზანშეწონილი იყო. შემდგომ სააპელაციო სასამართლომაც კი იმსჯელა ამ საკითხზე და ზედა ინსტანციამაც ჩათვალა, რომ ჩვენი მოთხოვნა არგუმენტირებული იყო, შესაბამისად, ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. დღესაც კი, უკვე მესამედ სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩვენი მოთხოვნა და არგუმენტები კანონთან სრულად შესაბამისობაშია“, — განაცხადა პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა.

თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას წინასწარი პატიმრობა 7 ნოემბრის საქმეზე აქვს შეფარდებული. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე წინასწარი პატიმრობის ვადა ყოფილ მერს 2 აპრილს ამოეწურა, თუმცა 7 ნოემბრის საქმეზე პროკურატურამ მას ბრალის ფაქტობრივი გარემოებები დაუზუსტა, ასევე შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებამ სასამართლოს თბილისის ყოფილი მერისთვის აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობით მიმართა, რაც სასამართლომ დაკმაყოფილა.

„პირველი“

სწავლებაში მონაწილე ამერიკული ტექნიკა საქართველოშია

ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლებისთვის „მაღალი დონის პარტნიორობა“ განკუთვნილი ამერიკული სამხედრო ტექნიკა ბათუმის პორტში გემით უკვე შემოვიდა.

14 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“, ლოგისტიკური უზრუნველყოფის მანქანები და სწავლებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა ეშელონებით ვაზიანში ჩამოვა. სწავლებისთვის საჭირო სამხედრო ტექნიკა ვარნადან ბათუმის მიმართულებით 2 მაისს გამოიგზავნა.

ქართულ-ამერიკული ერთობლივი სწავლება „მაღალი დონის პარტნიორობა“ (Noble Partner) 11 მაისს ვაზიანში ოფიციალურად გაიხსნება. სწავლება საქართველოში პირველად ტარდება და ქართული ასეულის ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებთან დაახლოებას, ასევე ნატო-ს მომავალ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობისთვის მზადყოფნის ამაღლებას ისახავს მიზნად.

სწავლება ვაზიანის სამხედრო აეროდრომის ტერიტორიასა და სამხედრო პოლიგონზე ჩატარდება. წვრთნაში საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა“ ასეული, IV მექანიზირებული ბრიგადის 42-ე ბატალიონის I მექანიზირებული ასეული და სამხედრო პოლიციის ოცეული მიიღებს მონაწილეობას. ამერიკის მხრიდან სწავლებაში აშშ-ს არმიის ჯავშანტრანსპორტიორები „ბრედლი“ და მედესანტეების ასეულები ჩაერთვებიან.

„პირველი“

საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო ჯგუფი იქმნება

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში სამხედრო ლიდერებს შორის გამართულ შეხვედრაზე საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივ საკოორდინაციო ჯგუფის შექმნაზე მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს.

როგორც სააგენტო Contact.az აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით იტყობინება, მოცემული სტრუქტურა სამხედრო სფეროში სამი ქვეყნის თანამშრომლობას გაუწევს კოორდინირებას. ჯგუფის მიზანი საერთო სწავლების, ტრენინგების ჩატარება, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობა და ასევე, საერთო ინტერესებში შემავალი სხვა საკითხები იქნება.

შეხვედრაში საქართველოსა და თურქეთის გენერალური შტაბების ხელმძღვანელები და ასევე, აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი მონაწილეობდნენ.

„პირველი“

გარიგებული მატჩების ბრალდებით შსს-მ მოქმედი და ყოფილი ფეხბურთელები, ასევე კლუბის პრეზიდენტი დააკავა

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა საფეხბურთო კლუბ „სტუ თბილისის“ პრეზიდენტი ოთარ შენგელია, საფეხბურთო კლუბ „საჩხერის ჩიხურას“ ყოფილი სელექციონერი და ყოფილი ფეხბურთელი დავით გენძეხაძე დააკავეს.

დაკავებულია ასევე აზიური ტოტალიზატორის იბცბეტის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში ომარ ნ. საფეხბურთო კლუბ „ხარაგაულის ჩხერიმელას“ მოქმედი ფეხბურთელები: გიორგი გ. და თემურ ს, საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი გიგა ბ, ასევე ორი პირი – იოსებ გ. და გიორგი კ, რომლებიც მოსყიდვაში მონაწილეობდნენ.

გამოძიების ინფორმაციით დაკავებულები 10 000-დან 20 000 ლარამდე თანხის სანაცვლოდ, წინასწარ ურიგდებოდნენ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე სხვადასხვა გუნდის წარმომადგენლებს, კონკრეტული საფეხბურთო მატჩების სასურველი შედეგით დასრულებისთვის. შემდეგ, წინასწარ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ონლაინტოტალიზატორებში შესაბამის ფსონებს ათავსებდნენ და მოგებულ თანხას ერთმანეთში ინაწილებდნენ.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ სპორტული შეჯიბრებების მონაწილეთა მოსყიდვის ფაქტები შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, თბილისსა და ქუთაისში კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოავლინეს.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 4-დან 6 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

ასპინძაში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულს თავისუფლების ცხრა წლით აღკვეთა მიესაჯა

მსჯავრდებულის ადვოკატის განცხადებით, ზვიად ბურდული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ტარიელ ბალაბანიშვილი, ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის მიერ გამოტანილი განაჩენის სააპელაციოში გასაჩივრებას აპირებს. ის სასჯელის 7 წლამდე შემცირებას ითხოვს, იმ მოტივით, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებასთან თანამშრომლობდა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში მკვლელობა მიმდინარე წლის 13 იანვარს მოხდა. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზვიად ბურდულმა თანასოფლელი მოკლა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობდა.

„პირველი“

„სახელებისა და გვარების შესაცვლელად რამდენიმე მილიონის დახარჯვა არასწორი მგონია“

სურდა თუ არა სპორტის მინისტრის პორტფელი და რას ფიქრობს ახალ მინისტრზე ღუკა კურტანიძე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რას ფიქრობს სპორტის მინისტრობის ახალ კანდიდატზე სპორტის კომიტეტი, რა პრეტენზიებს უყენებენ სპორსტმენი პარლამენტარები ექსმინისტ ლევან ყიფიანს, სურდათ თუ არა მინისტრის პორტფელი ლუკა კურტანიძესა და ლერი ხაბელოვს და რას ფიქრობს ვადამდელ არჩევნებზე ბურჯანაძის ყოფილი თანამებრძოლი — „ვერსიის“ კითხვებს ლუკა კურტანიძე პასუხობს.

— ბატონო ლუკა, რა მოხდა, რეალურად, სპორტის კომიტეტსა და ლევან ყიფიანს შორის?

— ჩვენი შეფასება უფრო საფუძვლიანი რომ ყოფილიყო, 10-პუნქტიანი პრეტენზიები გამოვაქვეყნეთ, რაც ყოფილი მინისტრის მიმართ გვქონდა. მე ან სხვა პირს ყიფიანთან არანაირი პიროვნული დაპირისპირება არ გვქონია და რამდენჯერაც უნდა მკითხონ, ამას იმდენჯერ განვმარტავ. ჩვენს შორის მხოლოდ საქმიანი კამათი იყო, შემდეგ დავდეთ უარყოფითი დასკვნა მისი საქმიანობის შესახებ და ჩვენი არგუმენტები პრემიერსაც გავაცანით. ყველა შესაბამისი ინსტანცია გავიარეთ და კანონის ფარგლებში ვიმოქმედეთ. ლუკა კურტანიძის გარდა, პარლამენტის 10-მა დეპუტატმაც კატეგორიულად უარყოფითად შეაფასა ლევან ყიფიანის მუშაობა. საზოგადოებამ კი უნდა იცოდეს, რომ პიროვნული დაპირისპირებებითა და ემოციებით არ ხდება მინისტრების მოხსნა.

— ამ ბრალდებას ყიფიანი გიყენებდათ, თუმცა მე სხვა კითხვა მაქვს — ამხელაა აჟიოტაჟი და დროში გაწელილი პროცედურები ამ 10 პუნქტად ღირდა?

—იმის მიუხედავად, რომ ერთი გუნდი ვართ, ხალხი ითხოვს არასწორ ქმედებებზე ერთმანეთს თვალი არ დავუხუჭოთ. ასე თუ არ მოვიქცევით, გამოდის, უკან უნდა დავბრუნდეთ, როცა ხმის ამომღები არავინ იყო ყველა ყველას „ათეთრებდა“. თუ ეს აწყობს საზოგადოებას, მაშინ პირდაპირ და გასაგებად გვითხარით! ყველამ თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს — ჩვენი ვალდებულება კი ისაა, შესაბამისი სამინისტროები ვაკონტროლოთ. ზოგიერთ ფედერაციას ისიც ვერ გაურკვევია, რომ შპს-ა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმეში არასწორად და არაკორექტულად არ უნდა ჩაერიოს. არ ესმით, რომ დარგობრივი კომიტეტები სწორედ იმიტომ არსებობს, აღმასრულებელი ხელისუფლება აკონტროლოს. ჩვენი ერთ-ერთი პრეტენზია ლევან ყიფიანის მიმართ ის იყო, რომ თანხა არარაციონალურად გადაანაწილა ფედერაციებს შორის. ყველა დიდი სიხარულით უნდა ხვდებოდეს ფაქტს, რომ მოხდა პრეცედენტი, როცა პარლამენტმა თავისი ფუნქცია რეალურად შეასრულა. ამით ხალხს იმედი უნდა მიეცეს, რომ თუ მინისტრმა ან მისმა მოადგილემ რაღაც არასწორად გააკეთეს, პასუხის გაცემა თუნდაც საპარლამენტო კომიტეტის წინაშე მოუწევთ. ჩვენი კომიტეტი ყველა გამოწვევას მყისიერად უპასუხებს და თანაგუნდელს არ „გაათეთრებს“, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა.

— საინტერესოა, რა ეტაპზეა გამოძიება — როგორც ვხვდები, ახლა ჭადრაკის ფედერაციაში ჩადებულ დიდ თანხებზე საუბრობთ, რომლის მიზანშეწონილობაში კომიტეტმა ეჭვი შეიტანა.

— ეს უკვე ჩემი კომპეტენციის სფერო აღარაა და ამაზე ვერ ვისაუბრებ.

— რატომ, კომიტეტს პირდაპირი ვალდებულება აქვს, შესაბამისი მასალები პროკურატურას მიაწოდოს.

— დიახ, კომიტეტი ვალდებულია, მიუთითოს სხვადასხვა არარაციონალურ გახარჯვაზე. დაინტერესდებიან თუ არა ამით შესაბამისი ორგანოები, ეს უკვე მათი საქმეა. ერთს ვიტყვი: როცა სპორტის სხვა სახეობები, ერთად აღებული, იმაზე ოცჯერ ნაკლებ დაფინანსებას იღებენ, ვიდრე ერთი, არაოლიმპიური სახეობა, ჭადრაკი, კითხვები გაჩნდება და სხვა საკითხია, თუნდაც ეს დიდი თანხა რაში იხარჯება? აღმოჩნდა, რომ საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის ან საჭადრაკო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად კი არა, თანხას ვუძღვნით მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციას, რათა საქართველოში სხვადასხვა ტურნირი ჩატარდეს. შემდეგ, ამ ტურნირების ორგანიზება, მასპინძლობა, კვების, სასტუმროს, პრემიებისა და სხვა ხარჯებიც საქართველოს უნდა დაედოს ხარკად. დღეს იმის ფუფუნება არ გვაქვს, მთელ მსოფლიოში ჭადრაკი ჩვენს ხარჯზე განვითარდეს და ამ ხარჯს შეგნებულად ხარკს ვუწოდებ! ეს ხარკი გაუმართლებლად მიმაჩნია, როცა ვერის ბაღში არსებული ჭადრაკის სასახლის მოსაწესრიგებლად სამინისტროს ბიუჯეტიდან 100 ლარიც არაა გამოყოფილი. ნიჭიერი მოჭადრაკეები კი ისეთი გაჭირვებულები არიან, ერთ-ერთი მათგანი ინტერნეტმაქინაციის გამო ტურნირიდანაც კი მოხსნეს.

— კარგი და ახალ მინისტრს რაღას ემართლებით — შოთა ხაბარელმა თქვა, მის მიმართაც არსებობს ეჭვებიო. რა ეჭვებზეა საუბარი და საერთოდ, თქვენთვის მისაღები კანდიდატი ვინ არის?

— ეს ბატონი შოთას სუბიექტური ემოცია იყო. ლერი ხაბელოვის დავალებით, ახალ მინისტრთან 5 მაისს უკვე მქონდა კონსულტაციები. მე მას ვიცნობ, როგორც ღვთისმოსავ ადამიანს, მრავალშვილიან მამას, წარმატებულ ბიზნესმენსა და კარგ მენეჯერს. დანარჩენს მისი გაკეთებული საქმე გამოაჩენს. ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი სწორედ 5 მაისს გაეცა. ახლა, უახლოეს დღეებში, სპორტის კომიტეტში მინისტრის მოსმენაა დაგეგმილი, სადაც თავის სტრატეგიას წარმოგვიდგენს.

— ანუ მინისტრთა კაბინეტს სპორტის კომიტეტი მხარს დაუჭერს?

— კითხვა ძალიან გამძაფრებულად დამისვით, საკითხი ასე არ დგას. ჩვენ კითხვებზე პასუხები მივიღეთ და პრობლემა არ არსებობს. მინისტრთა კაბინეტის თემაზე კი აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ კარგად ვიმსჯელეთ, რასაც, სხვათა შორის, მხოლოდ ფორმალური ხასიათი არ ჰქონია. ამის მერე, ქუთაისში უმრავლესობა და უმცირესობა მთელ სამთავრობო გუნდს შეხვდება და ვფიქრობ, არც ნდობის მოპოვების პრობლემა იქნება.

— თქვენმა ორმა კოლეგამ პარლამენტიდან მინისტრთა კაბინეტში გადაინაცვლა. სხვათა შორის, იმაზეც იყო საუბარი, რომ თქვენ და ლერი ხაბელოვს სპორტის მინისტრის პოსტი გინდოდათ და ამას მოჰყვა მთელი არეულობა...

— სპორტის კომიტეტის დისკრედიტებისთვის გაჟღერდა, თითქოს ვიღაცას მინისტრობა უნდოდა. პარლამენტში ყოფნაც არანაკლები ტვირთი და პასუხისმგებლობაა. დამიჯერეთ, ყიფიანს ჩვენკენ ერთი ნაბიჯიც რომ გადმოედგა და თუნდაც ერთი შეცდომა ეღიარებინა, დღეს თავის ადგილზე იქნებოდა. ახლა მინდა, მას შანსი დავუტოვოთ, მშვიდობიანად და წარმატებულად იცხოვროს.

— თქვენ ისეთი ეჭვები გამოთქვით, თუ დაუმტკიცდა, მგონი, მშვიდობიანად ვეღარ იცხოვრებს.

— ჩემი უფლებამოსილებისთვის არ გადამიჭარბებია. უბრალოდ, კრიტიკული შეფასება გავაკეთე. კომიტეტი მუშაობას ისევ აქტიურად გააგრძელებს და ამ ერთი საქმით ჩვენი ვალი და პასუხისმგებლობა არ ამოიწურება. რაც შეეხება ტარიელ ხეჩიკაშვილის კანდიდატურას, რომელიც პრემიერმა წარადგინა, ვფიქრობ, ამ მოცემულობაში, მისი მინისტრობა სპორტის განვითარებისთვის იდეალური დასაწყისია.

— ამ დღეებში, ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ისევ აქტუალური გახდა — პარლამენტი ყველაზე სუსტი რგოლია თუ მის დაშლაზე, პატარა არეულობისთანავე, ყველა რატომ საუბრობს?

— მგონი, პარლამენტმა დაამტკიცა, რომ სუსტი კი არა, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი რგოლია სახელმწიფო ინსტიტუტთა შორის. თუ საკანონმდებლო ორგანო თავის უფლებამოსილებას ვერ შეასრულებს, ვადამდელ არჩევნებზე მხოლოდ ამის მერე უნდა ვისაუბროთ. დღეს კი პარლამენტი, როგორც არასდროს, ისე უმკლავდება მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, წინა ათწლეულებისგან განსხვავებით, როცა იგი ნოტარიუსის როლს უფრო ასრულებდა. თანაც, უნდა მივეჩვიოთ, რომ არჩევნები კონსტიტუციურ ვადებში ჩავატაროთ. სახელებისა და გვარების შესაცვლელად რამდენიმე მილიონის დახარჯვა არასწორი მგონია.

— ანუ თქვენი და ყოფილი პარტნიორის, ნინო ბურჯანაძის აზრები გაიყო?

— გასაგებია, რომ ოპოზიციას სურს, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ნინო ბურჯანაძე ერთადერთი არაა, ვინც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ამაზე ჩვენი გუნდის წარმომადგენლებიც კი საუბრობდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ახლა ამის საჭიროება არ დგას.

გამარჯობა, საპარლამენტო რესპუბლიკავ შენი!

ლევან სეფისკვერაძე

ჩვენს ქვეყანას მეოთხე პრეზიდენტი ჰყავს. ეს ნიშნავს, რომ გიორგი მარგველაშვილი მეოთხე ადამიანია, რომელსაც სწორედ ისინი აბაიბურებენ, ვინც ადრე აქებდა და სწორედ ისინი ესვრიან ქვებს, რომლებიც უწინ მის ნიჭიერებაზე, განათლებასა თუ პატიოსნებაზე საუბრობდნენ. ასე იყო ადრეც, ზვიადის, ედუარდისა და მიშას შემთხვევაში და თვალნათლივ ვხედავთ, რომ გრგვინვით არჩეული პრეზიდენტების მიჭირხნა, პრაქტიკულად, ამ ქვეყნის „ეროვნული ტრადიცია“ გახდა.

მაგრამ, მაინც რთულია, გიორგი მარგველაშვილი წინა სამ პრეზიდენტს შეადარო, რადგან განსხვავებანი თვალსაჩინოა და ხელშესახები. მარგველაშვილი, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარ თავს „პლასტილინის კაცი“ უწოდა, საქართველოს ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც ამ ხელიხელსაგოგმანებ თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ იღბლითა და „ერთი ბრძენი კაცის“ დამსახურებით აღმოჩნდა და რომელიც, როდესაც უკან მიიხედავს, პოლიტიკური ბრძოლების ნაცვლად, საუნივერსიტეტო კამპუსში გატარებული დღეები გაახსენდება. პრეზიდენტობა ძალისხმევის გარეშე! უცნაურობაზე მეტია!

პრეზიდენტს ებრძვიან! პრეზიდენტი დავიცვათ! ხელები შორს ჩვენი პრეზიდენტისგან! – უჰ, რაოდენ გულისამაჩუყებლად და გულდამთუთქველად ჟღერს ეს ლოზუნგ-ფრაზები, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, მომიტევოს თავად პრეზიდენტმა და, ეს მოწოდებები სასაცილოცაა — რომელი უცხოელი არ ახითხითდება იმის გაგებისას, რომ პრეზიდენტს ოპოზიცია მისივე გუნდისგან იცავს და თან ეს „დაცვაც“ პრეზიდენტის სასახლეში მარგველაშვილის ყოფნა-არყოფნის „უდიადეს“ საკითხს ეხება.

ჩვენ არ ვიცით, „რა ხელმა ააგო“ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ააგო და ავად თუ კარგად, დგას იქ, სადაც დგას. ჰოდა, რაკი დგას და შიგნით პრეზიდენტიც მოსახლეობს, ვითომ ასეთი მნიშვნელოვანია მისი კუთვნილი (თან დროებით კუთვნილი) კვადრატული მეტრების თვლა და ანგარიში? ვითომ მეტი პრობლემა არ გვაქვს? ვითომ თბილისში ან ქუთაისში, საავტომობილო ტრასებზე მომრავლებულ ორმოებში ავტომანქანაჩავარდნილი მოქალაქეების საფიქრალი პრეზიდენტის რეზიდენციაა? ვითომ საერთოდ ნორმალურია ეს ყველაფერი, რაც ამ რეზიდენციის გარშემო ხდება? და საერთოდ, ის 1 ოქტომბერი, „იქნებ სიზმარიც არ იყო, კნიაზ-ჯან?“...

ფაქტია, „პლასტილინის კაცს“ უფლებები შეზღუდული აქვს. ფაქტია, დღეს მისი შესაძლებლობანი ვატიკანში ღიმილიანი სახით გავლა-გამოვლასა და ზურაბ არაგვის ერისთავის სამფლობელოში მდებარე მის კუთვნილ სახლში წასვლა-წამოსვლას არ სცდება, მაგრამ ჩვენ ხომ სიტყვა „პრეზიდენტის“ მაინც სულ სხვანაირ კონტექსტში გამოთქმას შევეჩვიეთ და „გვიშველეთ, ბატონო პრეზიდენტოც“ ის ფრაზაა, რომელიც 90-იანი წლების გარიჟრაჟიდან ჩაგვესმის.

რაკი ჩვენ სხვანაირი პრეზიდენტები გვყავდა, საკუთარი გუნდის მიერ გარიყულ მარგველაშვილსაც ეს ჩვენი გულუბრყვილო თანამემამულეები „გვიშველე, პრეზიდენტო“ — შესტირიან და ალბათ არ იციან, რომ გიორგი მარგველაშვილს მთავრობის დაუკითხავად პლასტილინის მიცემაც კი აღარ შეუძლია მათი შვილებისთვის.

ჰოდა, აი ამიტომაც: გამარჯობა, საპარლამენტო რესპუბლიკავ შენი! უფრო სწორად თქვენი! თუ ჩვენი? ღმერთმა უწყის ამ ამბის თავი და ბოლო...

ვერსიანიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს სომეხი კოლეგა ჰოვიკ აბრაჰამიანი დაუკავშირდა

ირაკლი ღარიბაშვილს ჰოვიკ აბრაჰამიანი ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარის, ანატოლი ბიბილოვისა და სომხეთის პარლამენტის სპიკერის, გალუსტ საჰაკიანის შეხვედრის შესახებ ესაუბრა. როგორც სომხეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის მეთაურს განუმარტა, ანატოლი ბიბილოვი ყარაბაღში არასამუშაო დღეს, კერძო ვიზიტით იმყოფებოდა და გალუსტ საჰაკიანთან პირადი ხასიათის არაფორმალური კომუნიკაცია შედგა. შეხვედრაზე საქმიანი თემები, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები არ განხილულა.

ჰოვიკ აბრაჰამიანმა ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურა და საქართველოსადმი სომხეთის კეთილმეზობლურ და მეგობრულ დამოკიდებულებას ხაზი გაუსვა.

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ეროვნული მოძრაობა და ნაციონალები უნდა გაერთიანდნენ“

რას ითხოვს და რას აპირებს ირაკლი წერეთელი 26 მაისს

გრძელვადიანი პროტესტი 27 აპრილიდან გამოაცხადა და უკვე კვირაზე მეტია შიმშილობს. ირაკლი წერეთელს მოთხოვნებიც, პროტესტის ფორმასავით, უკიდურესად მკვეთრი აქვს: „ოცნების“ მთავრობის შეცვლა, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, დაპატიმრებული ნაციონალების გათავისუფლება, სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, საქართველოში ამერიკის ჯარების შემოსვლა და ა.შ. იგი საკუთარი სურვილებიდან უმთავრესს მხოლოდ „ვერსიას“ უმხელს და აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობა და ნაციონალები უნდა გაერთიანდნენ და თბილისში ტრიუმფით შემოვიდნენ. რას ნიშნავს მისი განცხადებები და ელის თუ არა პოლიტიკურ დივიდენდებს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი — ჩვენს კითხვებს, შიმშილობის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე ირაკლი წერეთელი პასუხობს.

— მოვითხოვ პოლიტპატიმრების გათავისუფლებას, რუსული იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ორგანული კანონის მიღებას, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ს სამხედრო პოლიგონის შემოყვანასა და სამხედრო ბაზების განთავსებას, საყდრისის დამანგრეველ დამნაშავეთა დასჯას, საქართველოში რუსული სატელევიზიო არხების ჩვენების აკრძალვას, კოალიციური მთავრობის შექმნას...

— როგორ ფიქრობთ, რომელი მოთხოვნის შესრულებაზე იმსჯელებს ხელისუფლება სერიოზულად?

— მაქსიმალურად ვეცდები, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ავიყოლიო. შეიძლება, ხელისუფლებამ პოლიტპატიმრების საკითხზე უკან დაიხიოს, მაგრამ რუსული აგრესიის წინააღმდეგ ხმა არ უნდა ამოიღოს?! ეს ხელისუფლების პრობლემაა და არა ჩემი. თუ ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ისტორიაში სამარცხვინოდ შესვლას გადაურჩება.

— საქართველოში აშშ-ს პოლიგონის განთავსებას რომ ითხოვთ, არ ფიქრობთ, რომ ამით ქვეყანას მეტი საფრთხე შეიძლება შეექმნას?

— როგორც კი ამერიკის ჯარები ჩვენს ტერიტორიაზე განთავსდება, რუსეთის დამპალი და ბოროტი იმპერია მაშინვე თავს დაგვანებებს. გგონიათ, რუსეთი საქართველოს გულისთვის ამერიკას დაარტყამს? თუ დაარტყამს, ამერიკაც უპასუხებს და ორივე ქვეყნის ბიუჯეტს თუ შევადარებთ, ეს ომი რუსეთის განადგურებით დასრულდება.

— 2008 წლის შედეგებს არ ვითვალისწინებთ, როცა ჩვენთვის ხელი არავის გაუნძრევია?

— 2008 წელს საქართველოში ამერიკის ჯარები არ იდგა და რომ არა ამერიკული ხომალდები, რომლებიც შავ ზღვაში შემოვიდნენ, რუსულ ჯარს თბილისშიც ვიხილავდით.

— კიდევ ერთი მოთხოვნა დამიკონკრეტეთ — უნდა გაერთიანდნენ ატლანტიკური, პროდასავლური და ეროვნული ძალებიო, ამბობთ. ასეთად ვინ მიგაჩნიათ ან რის, ვის გარშემო უნდა გაერთიანდეთ?

— პროდასავლური ძალები სწორედ ჩემი მოთხოვნების გარშემო უნდა გაერთიანდნენ. ხელისუფლების გადაყენების საკითხი კი იმ შემთხვევაში დადგება, თუ ჩემს მოთხოვნებს არ შეასრულებს. ვიცი, ასე იქნება, თუ გრანდიოზულად ბევრი ადამიანი არ გაერთიანდა. ერთადერთი ძალა, ვისაც „ოცნება“ ანგარიშს გაუწევს, ქართველი ხალხის უმრავლესობაა.

— მერე, უმრავლესობა თქვენს მხარესაა?

— თუ არ არის, უნდა დადგეს! პროდასავლური ძალა ამომრჩევლის ის 72%-ია, რომელმაც 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებულ რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. ამ პრორუსული ხელისუფლების გამოკითხვებითაც კი, ღვთის წყალობით, განწყობა არ შეცვლილა. მიხეილ სააკაშვილს, შეცდომების მიუხედავად, პატივისცემა მარტო იმიტომ ეკუთვნის, რომ მისი მმართველობის დროს საქართველო დასცილდა რუსეთს და დაუახლოვდა დასავლეთს. ისე, მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, 72%-ის ნაცვლად, 99%-იან შედეგს დავდებდი.

— ფიქრობთ, ვისაც ნატო-ში შესვლა უნდა, ის ხალხი ყველა ამ მოთხოვნაზე გამოგყვებათ ან სააკაშვილი თქვენსავით მოსწონს?

— მე რა, მოვიტყუე რამე?! კაცი საშიშროებას აღარ წარმოადგენს, აღარაა ხელისუფლებაში, უკრაინისთვის იბრძვის. საქართველოში დგება ჟამი ეროვნულ-ნაციონალური გაერთიანებისთვის. დაუჭიროს ჩემს მოთხოვნებს მხარი ამ გამოშტერებულმა ხელისუფლებამ და ყველამ ერთად ვიბრძოლოთ საქართველოსთვის. ცუდი იქნება, სააკაშვილი ივანიშვილი და წერეთელი რუსეთის წინააღმდეგ ერთად რომ დავდგეთ?! ჯმე მხოლოდ მთავრობის გადადგომას ვითხოვ და არა მთელი ხელისუფლების.

— ისე, სააკაშვილი ერთ დროს ხომ გსვამდათ საარჩევნო სიაში, რატომ არ გამოვიდა ეს საქმე?

— იყო ამაზე საუბარი, მაგრამ კატეგორიული უარი შევუთვალე. ჩემს თავს ვერ ვაკადრებ, ვინმეს დახმარებით მოვიდე ხელისუფლებაში. თუ მოვალ, ისე უნდა მოვიდე, როგორც ზვიად გამსახურდია, მიხეილ სააკაშვილი — ანუ მხოლოდ საკუთარი ავტორიტეტის ხარჯზე. თუ დამოუკიდებელ საქართველოში ქართველი ერის უმრავლესობას არ უნდა, ხელისუფლებაში ვიყო, მე რატომ უნდა მინდოდეს? საქართველო რომელი ამერიკაა, რომ მისი პრეზიდენტობა რამეს ნიშნავდეს, მით უმეტეს, ამ დამპალი კონსტიტუციით?! ჩემნაირი კაცისთვის საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ ტვირთია — ხელისუფლებას ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ დროის სატარებლად იყენებენ.

— სააკაშვილიც ასე მოიქცა?

— ჯერ ერთი, სააკაშვილს სოლიდარობას ვუცხადებ. ვიდრე საქართველოში არ ჩამოვა, სოლიდარობას ოფიციალურად არ გამომიცხადებს და ხელს არ ჩამომართმევს, ქვეყანა რომ დაიქცეს, არ გავაკრიტიკებ.

— არ გეშინიათ, თქვენზე რომ თქვან, ნაციონალებმა გადაიბირეს და მართავენო?

— მათ კი არ გადამიბირეს, მე გადმოვიბირე ისინი. ზვიად გამსახურდია ჩემი მეგობარი იყო და იმან ვერ გადამიბირა. როცა გამსახურდიას ზუგდიდში შევურიგდი, მაშინ არავის უთქვამს, წერეთელი გადაიბირაო და ახლა ვინ იტყვის? უბრალოდ, დიდსულოვნად, ჩემი რაინდულ-რომანტიკული ხასიათის გამო მინდა, დევნილობაში მყოფი სააკაშვილი ჩამოვიდეს და ქვეყნისთვის ერთად ვიბრძოლოთ.

— თავის დროზე, ზვიად გამსახურდიასთან, ჯაბა იოსელიანთანაც რაინდულ-რომატიკული ხასიათის გამო მეგობრობდით?

— ჯაბა იოსელიანი ჩემი ნათლია და მამაჩემის ძმაკაცი იყო. ყველას გასაგონად და გულის გასახეთქად ვამბობ, იოსელიანი პოლიტიკურ საკითხებში „ჭედავდა“, თორემ ადამიანურ ურთიერთობაში სხვებზე მეტი ვაჟკაცობა ჰქონდა. უბრალოდ, მას ბევრმა ნაძირალამ გაუტეხა სახელი, ვინც მხედრიონს შეეკედლა. იგი გამსახურდიას მეგობარიც იყო, მაგრამ პოლიტიკაში ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან ხოლმე. მე არ ვგავარ სხვა პოლიტიკოსებს, რომლებიც რეიტინგის გამო ადამიანებს უარყოფენ... იმასაც ყველას შევახსენებ, რომ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე პასუხს, პირველ რიგში, ხელისუფლება აგებს, მე კი ხელისუფლებაში არასოდეს ვყოფილვარ. ეროვნულ მოძრაობას ოთხი გამოკვეთილი ლიდერი — გამსახურდია, ჭანტურია, კოსტავა და წერეთელი ჰყავდა, ბევრ სხვა ღირსეულ ადამიანთან ერთად. ეროვნული მოძრაობიდან, როგორც ნაციონალებიდან, ბევრია ენერგიული და ნიჭიერი ადამიანი და საჭიროა ჩვენი გაერთიანება ერთ დიდ ატლანტიკურ ეროვნულ მოძრაობაში. ამ იდეას პირველად თქვენ გეუბნებით. ეს არჩევნებამდე უნდა მოხდეს. ცალკე ირაკლი ალასანია რომ იქაჩება, სასაცილოა. დღეს ყველა ერთად უნდა დავდგეთ. განა არ ვიცი, რომ სააკაშვილზე ასეთი განცხადებები ბევრ მოწინააღმდეგეს გამიჩენს, მაგრამ ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც ჩემთვის რეიტინგზე მაღლა დგას. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა — თუ ჩემი მოკავშირეები და ნაციონალები დამიჯერებენ, მოვა დრო, როცა თბილისში ტრიუმფით შემოვალთ.

— ეს განცხადება რას ნიშნავს ან კიდევ რამდენ ხანს უნდა იშიმშილოთ?

— ჩემი შიმშილობა ფატალური შედეგითაც რომ დასრულდეს, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. ჩემს ვიდეომიმართვებს ხალხი სოლიდარობას უცხადებს, ამიტომ 26 მაისს, 15:00 საათზე, რუსთაველის ძეგლთან მინიმუმ 50 000 კაცი თუ გამოვა და სერიოზული დემონსტრაცია მოეწყობა, შეიძლება, შიმშილობა შევაჩერო. 52 დღე იშიმშილა ორმა გამხდარმა ირლანდიელემა, მე კი დათვივით ვარ, ცხიმის იმხელა მარაგი მაქვს, ერთი ზამთარი მეყოფა. თუ 26 მაისს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ვთქვი და გრანდიოზული, ანტისაოკუპაციო, ატლანტიკური, განმათავისუფლებელი დემონსტრაცია ჩატარდება, ვიძლევი პირობას, რომ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ძირფესვიანად შევცვლი.

პაატა დავითაია საგარეო საქმეთა მინისტრის გადადგომას წინასწარმეტყველებს

„შეეწირება“ თუ არა რიგის სამიტს თამარ ბერუჩაშვილი

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია სამთავრობო გუნდის ცვლილებას საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელს თავდაცვის მინისტრობისთვის შესაბამისი, საკმარისი გამოცდილება არ აქვს, რის გამოც ჯარის მართვას ვერ შეძლებს. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერისთვის გაუგებარია რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური კურსიც — გაუგებარია როგორ უნდა გახდეს ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი, როცა სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, პაატა ზაქარეიშვილი რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ ლოიალურია და რუსეთთან დაძაბული „საომარი მოქმედებების“ ფონზე, დათმობის პოლიტიკას აწარმოებს. „ვერსია“ დაინტერესდა, გეგმავს თუ არა „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას. დავითაია არ აკონკრეტებს, რომელ პოლიტიკურ ძალას შეუერთდება, თუმცა აცხადებს, რომ მომავალი არჩევნები გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე 2012 წელს იყო.

— დღეს საქართველო იმყოფება საომარ მოქმედებაში რუსეთის ფედერაციასთან. ნაკლებად მგონია, ამ პირობებში, თინა ხიდაშელმა შეძლოს ჯარის მართვა. მას არ აქვს ის გამოცდილება, რომელიც აუცილებელია საბრძოლო მოქმედებების დროს. ჩემთვის გაურკვეველია — რესპუბლიკური პარტიის წევრი ზაქარეიშვილი განსაზღვრავს პარტიის იდეოლოგიას და ფაქტობრივად, დათმობის პოლიტიკა აქვს რუსეთის ფედერაციასთან, ამავე პარტიის წევრი კი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი იქნება. ვფიქრობ, ქვეყნისთვის სახიფათოა ამ პარტიის მოქმედება იმ ჭრილში, რომელიც ითვალისწინებს სამშვიდობო პოლიტიკის წარმართვას.

— დღევანდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები კვლავ აქტუალურია?

— დიახ, ის ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ქვეყანაშია, მიგვიყვანს საარჩევნო პროცესამდე. ვადამდელი არჩევნები იქნება თუ არა, ფაქტია, მთავრობა არ მუშაობს საარჩევნო კოდექსზე. თუ კრიზისი უფრო გაღრმავდა, მოუწევთ არჩევნების ძველი კოდექსით ჩატარება. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე. თუ ლარის კურსი ვერ დასტაბილურდა (და ვერც მოხერხდება, რადგან არ შეიცვლება ეკონომიკური გუნდი), ზაფხულში და შემოდგომაზე სერიოზულ ეკონომიკურ პროცესებს უნდა ველოდეთ, რაც გამოიწვევს ვადამდელ არჩევნებს. მოვუწოდებ საქართველოს პარლამენტს, სასწრაფოდ დაიწყოს საარჩევნო კოდექსზე მუშაობა, რათა არ აღმოვჩნდეთ სავალალო მდგომარეობაში.

— თავად ხომ არ გეგმავთ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას და თუ შეუერთდებით რომელიმე პოლიტიკურ ძალას?

— არჩევნებში მონაწილეობას ნამდვილად ვგეგმავ და სხვა პოლიტიკურ ფრაქციასაც შევუერთდებით, რადგან სხვაგვარად ბარიერს ვერ გადავლახავთ, თუმცა რომელი ფრაქცია იქნება, ახლა არ გავამჟღავნებ. მიმდინარეობს კონსულტაციები და გეტყვით, რომ ეს არჩევნები გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე 2012 წელს იყო.

— პრეზიდენტმა არ მოაწერა ხელი პრემიერის წარდგენილ კანდიდატურებს. ეს სწორი გადაწყვეტილებაა?

— პრეზიდენტმა უნდა განაგრძოს ეს კურსი და აიღოს პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გართულდა. მას აქვს გარკვეული უფლებამოსილება. დღეს კონსტიტუციაზე ბევრი ისე საუბრობს, როგორც მოესურვება.

— როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ პრეზიდენტი მოაწერს ხელს მთავრობის ახალ შემადგენლობას?

— თუ მოაწერს, ეს ორდღიანი შოუ მის იმიჯზე ძალიან ცუდად აისახება, დაკარგავს მოსახლეობის ნდობას. პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია პრეზიდენტს, აძლევს შესაძლებლობას, გადადგას მკვეთრი ნაბიჯები. თუ დამტკიცდა ღარიბაშვილის წარდგენილი მთავრობა, სრული დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ რიგის სამიტის შემდეგ, სავარაუდოდ, შეევცვლით საგარეო საქმეთა მინისტრს, რადგან გვაქვს ცუდი მესიჯები. მე, როგორც ევროსაბჭოს პოლიტიკურ მრჩეველს გარკვეული ინფორმაციები მაქვს, არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ სამუშაო დოკუმენტი ჩვენთვის ძალიან ნეგატიურია. ეს კი ვიღაცას ხომ უნდა დაბრალდეს? ვფიქრობ, საგარეო საქმეთა მინისტრს შეცვლიან.

— რა ცუდი მესიჯებია რიგის სამიტთან დაკავშირებით?

— შედეგებს იქ იმის მიხედვით ვიღებთ, რასაც ვაკეთებთ. ჩვენ გვაქვს სახელისუფლო კრიზისი, დაპირისპირება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ ნათქვამია, რომ ძალოვანი სტრუქტურები გამოყენებულია პოლიტიკური დევნისთვის, ქალაქის ყოფილი მერი უკანონო პატიმრობაშია და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რაღაცაზე აისახება, სავიზო რეჟიმზეც იკავებენ უკვე თავს და ეს ჩვენი ბრალია, სხვას ვერავის დავაბრალებთ.

ექსკლუზიური ინტერვიუ ბელგიის საპატიო კონსულთან

როგორ გაიცნო შვეიცარიაში დაბადებულმა რუსმა დიპლომატმა ქართველი ცოლი და რატომ დამკვიდრდა თბილისში პიერ ორლოვი

მაკა ლომაძე, 555-27-95-13

საქართველოში დაახლოებით ოთხი ათეული დიპლომატიური წარმომადგენლობა მოქმედებს და მათი რიცხვი ნელ-ნელა იზრდება, მაგრამ არის არაერთი ისეთი ქვეყანაც, რომლებთანაც პირდაპირი დიპლომატიური ბმა არ არსებობს. ასეთია, მაგალითად, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო ბელგია. წესით, იმ ქვეყნებს, რომლებსაც ელჩები არ ჰყავთ, საპატიო კონსულები წარმოადგენენ. ისინი აუცილებლად აღნიშნული ქვეყნის წარმომადგენლები შეიძლება არც იყვნენ. მეტიც, რიგი საპატიო კონსულები, ქართველები არიან. „ვერსია“ დიპლომატის ტრიბუნას ამჯერად პიერ ორლოვს უთმობს — შვეიცარიაში დაბადებულ რუს დიდგვაროვანს, სულით, ხორცით და ღირსებით თავადს, პროფესიით გეოლოგს, რომელიც საქართველოში ბელგიას წარმოადგენს. მის ბინაში შესვლისთანავე ხვდები, როგორი გენეტიკა და გემოვნება აქვს. მისი პირველი მეუღლე, რომელიც წარმოშობით შვეიცარიელი იყო, გარდაიცვალა. რამდენიმე წლის წინ კი, ბატონი პიერი, ქართველ ქალბატონზე დაქორწინდა. მათი სახლის კედლებს ქართველი მხატვრების — ელენე ახვლედიანის, თენგიზ მირზაშვილისა და რადიშ თორდიას ნამუშევრები ამშვენებს. „ქართულ გალერეას“ ჩინური პეიზაჟები, რუსული ფაიფურის კოლექცია და ევროპული კლასიკური დიზაინი ერწყმის. აქ ყველაფერია, მოდერნიც და რელიკვიებიც. აქ კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ეკლექტიკა არ გაღიზიანებს, თუ გემოვნებითაა შეზავებული.

— როგორ მოხდა, რომ შვეიცარიაში დაბადებული, წარმოშობით რუსი გეოლოგი, საქართველოში ბელგიის საპატიო კონსულია?

— მამაჩემი თეთრგვარდიელი იყო. არეულობის, ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, ჩემი მშობლები გაიქცნენ და შვეიცარიაში აღმოჩნდნენ. სწორედ იქ, ფრანგულენოვან ქალაქ ლოზანაში გავჩნდით მე და ჩემი და. განათლება ფრანგულ ენაზე მივიღე, ამიტომ მშობლიურ რუსულზე კარგად ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ სახლში რუსულად ვსაუბრობდით. რუსეთზე სულ ვოცნებობდი: მონათხრობიდან, ასევე რომანებიდან, საუკეთესო ქვეყნად წარმომედგინა. სამშობლოში უკვე ზრდასრული ჩავედი და... სულ სხვა ქვეყანა დამხვდა. ვერ დაიჯერებთ. ეს ის რუსეთი არ იყო. საბჭოეთმა არამარტო სხვა ქვეყნები, რუსეთი და რუსი ერიც დაღუპა. ვაპირებდი იქ დასახლებას, მაგრამ ვერ შევძელი. არ შემიძლია, ვიჯდე და ვუყურო, როგორ იღუპება ჩემი სამშობლო დღითიდღე. მე ვარ რუსეთიდან, რომელიც 100 წელზე მეტია აღარ არსებობს. საწყენია, რომ ასეთი დიდი კულტურის ქვეყანა იღუპება... სამაგიეროდ, ჩემი ერთი ვაჟი ცხოვრობს მოსკოვში, მეორე კი ჟენევაში. ორივე დაოჯახებულია. დღემდე მგონია, რომ მონარქია საუკეთესო მმართველობის ფორმაა.

— საქართველოსთვისაც? ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის მეფე ზედმეტი ფუფუნება ხომ არ იქნებოდა?

— არა, მეფის შენახვა ქვეყანას პრეზიდენტზე ძვირი არ უნდა უჯდებოდეს. დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ჩვენ ვიცით პრეზიდენტები, რომლებიც საბიუჯეტო თანხებს საკუთარი სიამოვნებისთვის ფლანგავდნენ. ამას გარდა, მეფე ერთობის, პატრიოტიზმისა და პატივისცემის სიმბოლოა. ჩემი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში, მონარქია ყველაზე საუკეთესო სისტემაა. აი, ბელგიას ჰყავს მეფე და სწორედ მისი წყალობით, ქვეყანა არ დაიშალა. ბელგიაში საუბრობენ ფრანგულად, ჰოლანდიურად, გერმანულადაც. მონარქია ერთადერთი „ცემენტია“, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს აკავშირებს, რადგან მეფეს ყველა პატივს სცემს. ადამიანებს იმიტომ უნდათ პრეზიდენტობა ან პრემიერ-მინისტრობა, რომ ამაღლდნენ სოციალურ დონეზე და ბევრი ფული იშოვონ. მონარქი პირიქით — საკუთარ სიცოცხლესა და ქონებას ქვეყანას უძღვნის. მისი როლია, ღირსეულად მოიქცეს. ამ ფონზე, ბედნიერი ვარ, რომ ბელგიის სამეფოს წარმოვადგენ საქართველოში. მეფეს როგორც წესი, აქვს პირდაპირი კავშირი ხალხთან. 1970-იან წლებში სწორედ მონარქმა იხსნა ესპანეთი. არისტოკრატია ფულზე არაა დახარბებული, რადგან ისედაც ყველაფერი აქვს. თუმცა, მთავარია, მათ, ვინც ყველაფერი დაკარგა, ჩვენი ოჯახის მსგავსად, არ დაკარგეს ღირსებები. მამაჩემი ყოველთვის გვასწავლიდა: იცოდეთ, რომ მემამულეებს არანაირი პრივილეგია არ აქვთ და არც უნდა ჰქონდეთ, სამაგიეროდ, ძალიან ბევრი მოვალეობა აქვთო.

— სამშობლოში დამკვიდრება ვერ შეძელით. საქართველოში როდის ჩამოხვედით?

— 1992 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული განყოფილების დირექტორმა მითხრა, გვინდა, საქართველოში 3 თვით ვინმე გავუშვათო. მაშინ შვეიცარიაში ვიყავი. ჩამოვედი და ისე აღვფრთოვანდი, 3 თვის ნაცვლად, 22 წელი დავრჩი...გაერო-ს მერე, ევროკომისიაში ვმუშაობდი, ასევე ჰუმანიტარულ საკითხებზე. საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო, აქ კი, სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ქვეყანაში ყველანაირი რესურსი ამოწურული იყო. მძიმე პერიოდი იყო, მაგრამ... მაინც საინტერესო.

— ჩამოსვლამდე საქართველოს შესახებ გქონდათ ინფორმაცია?

— ძალიან მწირი. მშობლები მეუბნებოდნენ, რომ ეს არის სამოთხე, რუსული ლიტერატურიდანაც ვიცოდი. ისინი არასოდეს ყოფილან აქ, მაგრამ ბევრი რამ ჰქონდათ გაგონილი თქვენს ქვეყანაზე. რუსული ემიგრაცია ბოლშევიკებს გაექცა. შვეიცარიაში, რუსების გარდა, ქართველებიც იყვნენ. სულ ეს იყო, რაც ვიცოდი საქართველოს შესახებ.

— საპატიო კონსული როგორ გახდით?

— რამდენიმე წელი ვიმუშავე. 2002 წელს, საპენსიო ასაკს რომ მივაღწიე (არადა, თავს ახლაც ახალგაზრდად ვგრძნობ), ბელგიის მთავრობამ შემომთავაზა, კონსული გახდიო. სულ, საქართველოში, დაახლოებით 20 საკონსულოა.

— როგორ იმოქმედა თქვენზე მოგზაურობამ და ამდენი კულტურის აღრევამ?

— ეს ვითარება გაცილებით გონებაგახსნილს მხდის. საქართველოში ბევრი ადამიანი მიჯაჭვულია ჭამის, ქცევის, მანქანის მართვის წეს-ჩვეულებებზე. მიჯაჭვულობა იმდენად ძლიერია, რომ გგონია, ვერც შეიცვლებიან. მათ უყვართ ხაჭაპური, ხინკალი... ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩემი აზრით, ყოველდღე ასეთი კერძები არ უნდა მიირთვა. მათ სურვილიც კი არ აქვთ, სხვა ქვეყნის სამზარეულო გასინჯონ. ასეთივე სურათი იყო შვეიცარიაში დაახლოებით 50-60 წლის წინ. განსაკუთრებით მთიელები, ვერ იაზრებდნენ, რომ სხვა ხალხებიც, სხვა კულტურებიც და წეს-ჩვეულებებიც არსებობს. სამწუხაროდ, საქართველოშიც, სხვა კულტურების მიმართ ინტერესი, დაბალია. იმედია, ეს შეიცვლება, თუმცა ამას დიდი დრო სჭირდება. თქვენ 70 წელი იცხოვრეთ საბჭოთა კავშირში, რკინის ფარდის მიღმა. მას მერე, დამოუკიდებელი საქართველო ძალიან გაღატაკდა და მხოლოდ ძალიან პატარა მასას მდიდრებისას ჰქონდა საშუალება, გასულიყო საზღვარგარეთ. მესმის, ბევრს არ აქვს საშუალება, მაგრამ ვისაც აქვს, აუცილებლად უნდა იმოგზაურონ. აფრიკაშიც მიცხოვრია, კერძოდ, ბურკინაფასოში ვმუშაობდი ჩემი პროფესიით. იქაც ბევრი რამ ვისწავლე.

— როგორია თქვენი სამუშაო დღე?

— მოხუცი ვარ და ჯანმრთელობას უნდა მივხედო. დილით, კარგად რომ გამოვიძინებ, ნელა ვდგები. ყავას მივირთმევ, ფორთოხლის წვენს ვაყოლებ და ვსაუზმობ. საპატიო კონსულის საქმე არც ისე რთულია. არც ხელფასს ვიღებ, მაგრამ საქმე სულ უფრო და უფრო მცირდება. დასაწყისში უფრო დატვირთული ვიყავი — ბევრი ბიუროკრატიული ოპერაცია გვქონდა განსახორციელებელი. ვცდილობ ჯანსაღი წესით ვიცხოვრო. დაახლოებით ნახევარი საათი მაინც ვვარჯიშობ. ვურთიერთობ მეუღლესთან, ვკითხულობ გაზეთს. ზოგჯერ ანგარიშების წერა მიწევს. მაინც, ბევრი თავისუფალი დრო მაქვს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ცხოვრებას გემოს ვატან.

— თავადივით ცხოვრობთ დღესაც კი. როგორ არის ეს შესაძლებელი „ცივილიზაციური ბუმის“ დროს?

— რადგან ხელფასს არ ვიღებთ, საპატიო კონსულებს გვაქვს უფლება, მეწარმეები ვიყოთ, მაგრამ ბიზნესი ჩემი საქმე არ არის. ვცხოვრობ შვეიცარულ პენსიაზე, რომელიც იქ არ გეყოფა, მაგრამ აქ კარგია. ბევრი ფული არ მაქვს, მაგრამ თანდათან დავაგროვე და 5 წლის წინ, ეს არაჩვეულებრივი ბინა შევიძინე ყაზბეგის გამზირზე, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩემი გემოვნებითაა მოწყობილი. მეტი ფული რომ მქონდეს, ყოველ 2-3 თვეში ვიმოგზაურებდი. ზაფხულობით კი ვახერხებთ ხოლმე მე და ჩემი მეუღლე ევროპაში წასვლას.

— თქვენი მეორე მეუღლე როგორ გაიცანით?

— პირველი ცოლი გარდამეცვალა. მეორე მეუღლე, თამარ გვარამია კი, თბილისში, შანიძის ქუჩაზე გავიცანი. მასთან მდგმურად ომელთანაც მდგმურად დავდექი. მანამდე, მთავრობამ კრწანისში მომცა ბინა. ფანტასტიკური იყო, მაგრამ ქალაქიდან იზოლირებული. არადა, ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ ახლა ცენტრში ვცხოვრობ და ამის საშუალებაც მაქვს.

საქართველოში თავს მშვენივრად ვგრძნობ. თავიდან ვერც წარმოვიდგენდი, რომ ყველას ეცოდინებოდა რუსული. ჩამოვედი და რას ვხედავ, ჩემ მშობლიურ ენაზე, რომელზეც შვეიცარიაში გეტოებში ვლაპარაკობდი, აქ ყველა ლაპარაკობს. ალბათ, ამიტომ არ ვისწავლე ქართული — არ დამჭირდა, ახლა კი გვიანაა. მომწონს თქვენი პატრიოტიზმი. იმაზე მეტად გიყვართ სამშობლო, ვიდრე შვეიცარიელებს და ამაყობთ კიდევ საქართველოთი. მაგრამ, ფიქრობთ, რომ ხაჭაპური ყველაზე კარგია...

— ქართული კულტურა მოგწონთ?

— რამდენიმე სხვა დიპლომატთან ერთად ვარ „ქართული ბალეტის მეგობრებში“. ვცდილობთ, სტიპენდიები მივცეთ ახალგაზრდებს. თეატრში არ დავდივარ, რადგან ენა არ მესმის. „ვეფხისტყაოსანი“ წაკითხული მაქვს. სოხუმში, ერთმა ადამიანმა „დათა თუთაშხია“ მაჩუქა და ძალიან მომეწონა ეს წიგნი. მხატვრებიდან მიყვარს ფიროსმანი, გუდიაშვილი, ახვლედიანი, რადიშ თორდია.

— რამდენად შესაძლებელია, საქართველოში ბელგიის საელჩო გაიხსნას?

— ჩემი ინფორმაციით, ევროკავშირში ან ნატოში გაწევრიანების მერე გაიხსნება. მანამდე — არა. დღეს კი, თუ ადამიანებს ბელგიაში გამგზავრება სურთ, ნიდერლანდების სამეფოს უნდა მიმართონ.

ვერსიანიუსი

„ბაქო-თბილისი-ყარსის ხაზი სარკინიგზო „აბრეშუმის გზა“ გახდება“

წოდებლები გავხდებით. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია რეგიონული თანამშრომლობის გაფართოებისკენ. უპირატესობას ვანიჭებთ საერთო სარგებელზე დამყარებულ თანამშრომლობას. არასოდეს ვიყენებდით საკუთარ ენერგორესურსებს, როგორც ზეწოლის საშუალებას და ყოველთვის მხარს ვუჭერდით მომხმარებელ და სატრანზიტო ქვეყნებს“.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ახალი სატრანსპორტო დერეფანია, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. რკინიგზის ექსპლუატაციაში შეყვანა მიმდინარე წელს იგეგმება. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, რომელიც საბოლოოდ გამორიცხავს საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროებას მას მერე, რაც სტამბოლში, ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის გვირაბის მშენებლობა დასრულდება.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით ასევე შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანები და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი მისი გეოგრაფიული მდებარეობით სარგებლობს და სატრანსპორტო ცენტრია. ამის შესახებ ილჰამ ალეიევმა აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს ყოველწლიურ სხდომაზე განაცხადა: **„აზერბაიჯანი აშენებს კასპიის უმსხვილეს პორტს, რომელსაც 25 მილიონი ტონა ტვირთის მიღება შეუძლია. ბაქო-თბილისი-ყარსის ხაზი სარკინიგზო „აბრეშუმის გზა“ გახდება“.**

ალიევის თქმით, მეგობრებისა და პარტნიორების წყალობით, აზერბაიჯანმა წარმატებული ენერგოპოლიტიკა განახორციელა: **„აზერბაიჯანს არ აქვს გასასვლელი ღია ზღვაზე, ამიტომ ჩვენ მილსადენების მშენებლობამ მოგვიწია. პირველად ისტორიაში, კასპიის ზღვა შავ და ხმელთაშუა ზღვას დავაკავშირეთ. აზერბაიჯანმა ენერგეტიკული რუკა შეცვალა. ჩვენ ვართ „ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზსადენის“ (TANAP) და „ტრანსადრიატიკის მილსადენის“ (TAP) პროექტების ინიციატორები. სამხრეთის გაზის დერეფანი — ეს ყველაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტია, რომლის რეალიზება 45 მილიარდ აშშ დოლარს მოითხოვს. როდესაც სამხრეთის გაზის დერეფნის მშენებლობა დასრულდება, ჩვენ 100 წლის განმავლობაში ევროპისა და ჩვენი მეზობლებისთვის ენერგომატარებლების მიმ-**

„პირველი“

„ქურდი ციგანას“ ალიარებითი ჩვენება

როგორ გაძარცვა ქვრივმა ბოშამ ბარონი და რაფომ თქვა შვიდმა მასზე უარი

პატიმარი №0578

ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა (ან ასეთი ქვეყანა ძალიან ცოტაა), სადაც ბოშები არ ცხოვრობენ. საქართველო და ბოშები თითქოს განუყოფელი ცნებაა. ისინი ყველგან არიან და ცდილობენ, თავი ირჩინონ თუ გადაირჩინონ. ბევრისთვის ბოშები მატყუარებთან ასოცირდება, ადამიანებთან, რომლებიც უხარისხო და მოპარული პროდუქციის გასაღებას ცდილობენ. ზოგს ჰგონია, რომ ისინი თავს მხოლოდ მათხოვრობითა და ქურდობით ირჩენენ, ასაკოვანი ქალები მკითხაობენ და თუ დაუკვირდებით, კაცები ძალიან იშვიათად ჩანან. ყველაზე საინტერესო კი იცით, რა არის? ბოშებიც ყოფენ ერთმანეთს კატეგორიებად — მოლდოველები, რუმინელები და ნამდვილი ბოშები...

„ამას ციგანს ნუ ეძახით, მოლდოველია. ნამდვილი ციგანი, ნამდვილი ბოშა, ერთადერთი ვარ ზონაზე“, — რუსთავის №17 დაწესებულებაში იჯდა პატიმარი, რომელსაც მთელი ზონა „ციგანას“ ეძახდა. სწორედ იგი აპროტესტებდა სხვების არსებობას და ამტკიცებდა, რომ მოლდოველ ბოშებს, რომლებიც საქართველოში მრავლად არიან, ნამდვილ ბოშებთან საერთო არაფერი აქვთ. საინტერესო ის იყო, თუ როგორ მიმართავდნენ გურული პატიმრები ბოშებს. მათთვის სულ ერთი იყო, მოლდოველი, ნამდვილი, რუმინელი თუ კამბოჯელი, ყველა ბოშა „ციგანი მაიმუნი“ იყო და ამაზე „ციგანა“ საერთოდ გიჟდებოდა.

„რატომ მაიმუნო, რა დაგიშავე? მარტივად რომ დამიძახო „ციგანა“, არ შეიძლება?!“ — გაოცებული სვამდა კითხვას, მაგრამ გურულები მაინც ძველ აზრზე რჩებოდნენ.

თუ ვინმე გამოირჩეოდა არაჰიგიენურობით, სწორედ „ციგანა“ იყო. კვირაში ერთხელ მისი საკნის ბინადრების დაჟინებული მოთხოვნით ბანაობდა, თუმცა სულ ბუზღუნებდა, რა მოიფიქრეთ ქართველებმა ამდენი ბანაობა, თვეში ერთხელაც საკმარისიაო. თეფშს არასოდეს რეცხავდა, ჭამიდან ჭამამდე რა გასვრის, გაზეთს გადავაფარებ, მტვერი რომ არ დაედოსო... დადიოდა ასე, ჭუჭყიანი ტანსაცმლით და გაზეთილი თავით, თუმცა ბოროტი აშკარად არ იყო და იმის მიუხედავად, რომ სისუფთავე არ უყვარდა, ყველა ეხმარებოდა, ყველა ცდილობდა, რაღაც მიეცა.

ერთ დღეს საკანში ტელევიზორი გაფუჭდა, საყიდელი იყო და ყველას თანაბრად უწევდა ფულის დადება. „ციგანამ“ იცოდა, ვერ მოახერხებდა, აქეთ ეცა, იქეთ ეცა და ერთ საათში გამოაცხადა — ტელეფონებზე დრო დავითრიე, ნახევარი საათი გვაქვს, ვისაც გინდათ, დარეკეთ, ფული ხომ უნდა იშოვოთ, მე დასარეკიც არსად მაქვსო. ტელევიზორი იყიდეს, დადგეს, იზეიმეს და „ციგანაც“ ამაყი იყო, მე რომ დრო არ მეშოვა, ფულს ვერ დაგირიცხავდნენო.

„ციგან, როგორც ვიცი, ბოშებმა გვერდში დგომა იციან. ისიც ვიცი, ძმა გყავს, თან საკმაოდ შეძლებული და ამდენი ხნის განმავლობაში ერთი თეთრი რომ არავინ დაგირიცხა, რა დააშავე ასეთი?“ — ღიმილით ჰკითხა ერთ დღეს პატიმარმა №0578-მა „ციგანას“.

„შენზე მითხრეს, ყველას ეკითხება რაღაცებს და მერე წიგნი უნდა დაწეროსო. რომ მოგიყვე, დაწერ, „ციგანა“ რომ იჯდა ზონაზე, კაი ტიპი იყოო... დაწერ?!“ — ეჭვით ჰკითხა „ციგანამ“.

„კი „ციგან“, დავწერ და იმასაც დავწერ, არ ბანაობდა, თეფშს არ რეცხავდა, მუდმივად ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა-თქო“, — დაპირდა №0578.

„ვინ არ ბანაობს, კვირაში ერთხელ ვბანაობ, თვეში ერთხელ ტანსაცმელს ვრეცხავ, თეფშებს კიდევ რატომ რეცხავთ, მართლა ვერ ვხვდები. დილით ცხრაზე ვჭამთ, მერე ორზე, მერე შვიდზე და რად უნდა გარეცხვა?!“ — ისევ გაიოცა „ციგანამ“.

„კარგი, მომიყვები, რატომ დაგიჭირეს, რა დააშავე და რაც მთავარია, ასე უპატრონოდ რატომ ხარ?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„მოგიყვები, მაგრამ ბოლოში რაღაც უნდა გადავაკეთო და ისე გადაკეთებული დაწერე. არ მოვიქეცი სწორად და მაგიტომ. მერე ისე რომ დაწერო, როგორც იყო, იტყვიან, ეს „ციგანა“ ცუდი კაცი ყოფილაო“, — ულტიმატუმი წამოაყენა „ციგანამ“.

„კარგი, დაიწყე“, — გაუღიმა №0578-მა.

„18 წლის ვიყავი, ცოლი რომ შემრთეს. ჩვენთან იცი, როგორ არის? მოილაპარაკებენ მშობლები და ცოლი უნდა მოიყვანო რა. კარგი გოგო იყო. ბიჭი მეყოლა. 19 წლის რომ ვიყავი მაშინ და მშობიარობის დროს ცოლს რაღაც დაუზიანდა მუცელში. ოპერაცია გახდა საჭირო. ფული არ გვქონდა და ბარონს მივადექი. ბარონმა მომისმინა და მითხრა, ფული რომ მოგცე, ზარმაცი ხარ, აღარ დამიბრუნებ და ამიტომ არ მოგცემო. რამდენიმე თვეში მომიკვდა ცოლი. დავრჩით მე და ბავშვი მარტო. რა უნდა მექნა? გაყიდვა და „ბორია გადაეტ“ ძახილი არ გამომდიოდა და გადავწყვიტე, მოპარვა დამეწყო. წვრილ-წვრილ რაღაცებს ვიპარავდი ბაზრობაზე, მაგრამ არაფერი გამომდიოდა, არ მყოფნიდა.

ერთ დღეს, მე და ჩემი ცოლისძმა ვსვამდით და მაშინ მომივიდა თავში აზრად, ბარონი დაგვეყაჩაღებინა. ჩემმა ცოლისძმამ ჯერ იუარა, მერე თავისი დის ამბავი გავახსენე და მთვრალები წავედით საყაჩაღოდ. ფულს რა მნიშვნელობა აქვს, სამი კილო ოქრო წამოვიღეთ. ფოთში იჯდა მაშინ ჩვენი ბარონი. მთელი ციგნობა ფეხზე დადგა, ყველგან ეძებდნენ, ჩვენც ვეძებდით, მაგრამ ვერ „ვიპოვეთ“. ცოლისძმამ იმ სამი კილო ოქროდან ორი კილო მომთხოვა, თუ გინდა, რომ არ ჩაგიშვაო. გესმის?! ვიფიქრე, თუ ჩამიშვებ, შენც დაგიჭერენ-თქო და ამიტომ საერთოდ წავართვი ყველაფერი. აი, ეს დაწერე ისე, თითქოს შუაზე გაუყავი, არ უნდა წამერთვა, რა, მაგრამ ვიფიქრე, თუ ჩამიშვებს, მთლიანად მაინც მქონდეს ეს ოქრო, რომ დავიმალო-მეთქი.

იმ შტერმა მართლა გადაწყვიტა ჩემი ჩაშვება. ბარონთან მივიდა და მოუყვა, როგორც იყო ყველაფერი. მე სახლში მეძინა, როცა ბოშები დამადგნენ. ჩემი ცოლისძმა ისეთი ნაცემი ჰყავდათ, სახე არ უჩანდა. გაქცევა ვერ მოვასწარი, მაგრამ მომხვდა მეც და ყველაზე ცუდი, რაც ქნეს, ის იყო, რომ პოლიციაც დამაყენეს თავზე. ცემაც შემრჩა და „სროკიც“. ჩემი შვილი ვიღაც ქალმა წაიყვანა თბილისში, დასვა ვაგზალზე და მათხოვრობდა. პირველი სროკიდან რვა წელი შემრჩა კანფეტივით, მოვიხადე და გავედი. ბარონის ძებნა დავიწყე და როგორც კი იმან გაიგო, მეძებსო, დაიმალა. თან ბოშები მომიგზავნა, თუ ჭკუით მოიქცევა, არაფერს დავუშავებ და სამუშაოსაც ვუშოვიო. კარგი-მეთქი და მომენტს დველოდე. დველოდე რა, ვიღაცებმა რაღაცები მოიპარეს, ბარონმა, შენთან შეინახეო და იმავე დღეს პოლიციამ ჩხრეკა ჩამიტარა. მოდი, ესეც სხვანაირად დაწერე, ხელი ბარონისკენ გავიშვირე, მაგისია-მეთქი, მაგრამ პოლიცია დაკერილი ჰყავდა და ისევ „ციგანას“ მიარჭვეს შვიდი წელი.

მეორე „სროკიდან“ რომ გავედი, ის ბარონი მკვდარი დამხვდა, შვილი უკვე ოთხი წლის იყო. ხომ უნდა მიმეხედა და...“

„მოიცა ციგან, პირველ „სროკზე“ თვეების ბავშვი დატოვე და რვა წელი „მოხიე“, მეორე „სროკზე“ შვიდი წელი „მოხიე“ და ბავშვი ოთხი წლის როგორ იყო, 29 თებერვალს დაიბადა?!“ — გაოცდა №0578.

„ეეე, აზრზე არა ხარ რა. პირველი შვილი სად არის, დღესაც არ ვიცი. უფრო სწორედ, ვიცი, კახეთშია, დედოფლისწყაროში, სახლი იყიდა და ჩემის სახელის გაგონებაც არ უნდა. მეორე „სროკზე“ ქალების შემოყვანა შეიძლებოდა, ერთი ბოშა შემოვიყვანე და იმას ეყოლა, რა“, — აუხსნა „ციგანამ“.

„და რა იცი, რომ შენია?!“ — დაეჭვდა №0578.

„რა ვიცი და, რომ შეხედო, გაჭრილი ვაშლივით მგავს“, — ამაყად თქვა „ციგანამ“.

„ჰო, რა ვიცი... ისე, ჩემთვის, ბოშები ყველა ერთმანეთს ჰგავს. კარგი, გააგრძელე“, — დაეთანხმა პატიმარი.

„რა გავაგრძელო? ის ცოლიც მოკვდა და ახლა სხვა კაცთან ცხოვრობს“, — დაასრულა ციგანამ.

„თუ მოკვდა, სხვასთან როგორ ცხოვრობს?!“ — ისევ ვერ დამალა გაოცება №0578-მა.

„შენ მართლა არაფრის აზრზე არ ხარ. როგორ და, ჩემგან წავიდა, ე.ი. ჩემთვის მოკვდა და სხვასთან არის. ბავშვი მე მომიგდო და ჩემს ძმასთან წავიყვანე, იმას რომ გაეზარდა. ძმამ ბავშვი დაიტოვა, მე გამომაგდო, ქურდი ხარო. არადა, რა ქურდი, სახლში არ იყო ჩემი ძმა, ფული დამჭირდა და ავიღე, საღამოზე ვუთხარი და გამომაგდო“, — აუხსნა ციგანამ.

„რამდენი აიღე ან რაში დაგჭირდა?!“ — ღიმილით ჰკითხა №0578-მა, რადგან ეს ისტორია სხვებისგან ჰქონდა გაგონილი.

„ძმაკაცები შემხვდნენ და პატივი მინდოდა მეცა. ორი ათასი ლარი ავიღე, მაგრად ვიგულავეთ და ეს არ მაპატია. მე არაფერს ვეტყოდი“, — ჩუმად თქვა „ციგანამ“.

„ციგან, ორი ათასი ლარი ერთად მანამდე თუ გქონდა ნანახი? და მესამე „სროკზე“ როგორ მოხვდი?!“ — არ მოეშვა №0578.

„ორი ათასი ლარი კი არა, სამი კილო ოქრო მედო სახლში. მესამე „სროკზე“ არა, მეოთხეა ეს. მესამეზე სამი თვე ვიჯექი, მერე რაღაც შემეხო, ამნისტია თუ რაღაც და გამომიშვეს. ეს მეოთხეა, მობილურის ქურდობისთვის. რომ გავედი, არ მქონდა, მოვიპარე და დამიჭირეს. ახლა რომ გავალ, „ფირმაში“ უნდა წავიდე“, — გამოაცხადა „ციგანამ“.

„და „ფირმაში“ ვინ გაგიშვებს? თან მაგას ფული უნდა, ვიზა“, — აუხსნა №0578-მა.

„შენ მართლა არაფრის აზრზე არ ხარ. რა ვიზა, რის ფული?! ციგანი ვარ, მსოფლიო მოქალაქე“, — გაიჭიმა „ციგანა“.

„ჰო, მაგრამ ის დრო აღარ არის, მარტივად რომ მიდიოდი და მოდიოდი“, — გაუღიმა №0578-მა.

„ეგ შენ გგონია ასე, ჩვენი დრო ყოველთვის არის“, — დაამშვიდა „ციგანამ“.

* * *

გათავისუფლებიდან სამ თვეში „ციგანა“ ისევ დაიჭირეს. მთვრალმა ქუთაისის ბაზარში ჩხუბი ატეხა, ჯიბეში კი მოპარული მობილური უპოვეს.

ვერსიანიუსი

შსს-ს სპორტული კლუბის სპორტსმენმა წარმატებით იასპარეზა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპორტულ კლუბ MIA FORCE-ის მრბოლელმა დავით ქაჯაიამ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა. ქართველმა სპორტსმენმა უნგრეთში გამართულ ეტაპზე, თავის კლასში პირველი, ხოლო საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. შსს-ს სპორტული კლუბის ავტომრბოლელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელები, სპორტსმენები და გულშემატკივრები დახვდნენ. მომსახურების სააგენტოს დირექტორის პირველმა მოადგილემ დავით მიზანდარმა ქართველ მრბოლელს წარმატება მიულოცა და შემდგომი მხარდაჭერა აღუთქვა. აღსანიშნავია, რომ ძარიან ავტომობილებში ევროპის ჩემპიონატზე (ETCC) ქართველმა სპორტსმენმა პირველად მიიღო მონაწილეობა. 2012, 2013 და 2014 წლებში კი დავით ქაჯაია შსს-ს სპორტული კლუბის სახელით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ეგიდით გამართულ LEGEND SUPER CUP-ის სახელწოდებით ცნობილ ჩემპიონატზე ასპარეზობდა, რომელშიც ევროპის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ სამჯერ მოიპოვა.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომელმა ორთაბრძოლების მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამტრედიის განყოფილების უფროსმა ცოტნე შენგელიამ 2015 წლის 1-3 მაისს იტალიის ქალაქ ვერონაში გამართულ, შერეული ორთაბრძოლების მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, რომელზეც 50 ქვეყანა იყო წარმოდგენილი. ცოტნე შენგელია არის 2012 წლის მსოფლიო თასისა და 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი. მისი სპორტული კარიერა ასევე მოიცავს შემდეგ მიღწევებს: 2000-2004 წწ. საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში; 2001 წელი — მსოფლიო ჩემპიონ ზარბექ ბერიშვილის საერთაშორისო ტურნირი — I საპრიზო ადგილი; 2001 წელი — ევროპის ჩემპიონატი – მონაწილე; 2002 წელი — ირანი, თეირანი, აზიის ჩემპიონი.

ვერონაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ცოტნე შენგელიამ III საპრიზო ადგილი აიღო. გამარჯვებულს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გულშემატკივრები დახვდნენ.

„ვერსიანიუსი“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

გედევან ფოფხაძე: „ახალ მთავრობას მომავალ კვირას უპრობლემოდ დავამტკიცებთ“

„ქართული ოცნების“ წევრის, გედევან ფოფხაძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრის წარდგენილი მთავრობის დამტკიცება მომდევნო კვირაში იგეგმება. ამ კუთხით იგი არანაირ გართულებას არ ელის, ხოლო რაც შეეხება მთავრობის სხვა წევრების ცვლილებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. ფოფხაძის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სისტემა კარგად იქნება ორგანიზებული, მინისტრების ცვლილებაც პირობითი გახდება. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, 5 მაისს გამართულ კონფერენციაზე ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საზღვართან გარდაცვლილ 13 წლის მოზარდთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ასეთ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ხშირად იქმნება პრობლემები, დაგმო მომხდარი ფაქტი და დასძინა, რომ ასეთი პრეცედენტები საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

გედევან ფოფხაძემ ჟურნალისტების, მათ შორის, „ვერსიის“ კითხვებსაც უპასუხა.

— არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტს მიმართავს, არ წარუდგინოს პარლამენტს პრემიერის შეთავაზებული მინისტრობის კანდიდატები. რაიმე სახის გართულებას არ ელით ამ კუთხით?

— არანაირ გართულებას არ ველი. მოქმედი კონსტიტუცია არსებითად განასხვავებს პრეზიდენტის როლს მთავრობის ფორმირების დროს. ძველი რედაქციით მთავრობა პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული იყო, ახლით კი მთავრობის ფორმირებას საპარლამენტო უმრავლესობა ახდენს. პრეზიდენტთან არ თანხმდება არც ერთი მინისტრის კანდიდატურა. ამას არ ითვალისწინებს კონსტიტუცია. რაც შეეხება პრეზიდენტისთვის ოპოზიციის მიმართვას, ეს უფრო პოლიტიკური დემარშის ხასიათს ატარებს. პრეზიდენტს პარლამენტში მთავრობის წარდგენისთვის 7 დღე აქვს. ეს მაქსიმალური ვადებია. ამ კვირაში ველით გიორგი მარგველაშვილისგან მთავრობის შემადგენლობის წარდგენას და მომავალ კვირაში ახალ მთავრობას დავამტკიცებთ.

— ვრცელდება ინფორმაცია სხვა მინისტრების სავარაუდო ცვლილებაზეც. მთავრობაში საკადრო ცვლილებებს კიდევ უნდა ველოდეთ?

— სხვა მინისტრებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობ. საბოლოოდ უნდა შევთანხმდეთ, რომ ჩვენ პოლიტიკას კი არა, პერსონებს ვამტკიცებთ და ამ ფონზე, მათ კვალიფიკაციის მიხედვით ვაფასებთ. მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ დამტკიცების დროს საინტერესო ის არის, ხომ არ მოხდება რაიმე პოლიტიკური ცვლილება. შესაძლოა, კონკრეტული მინისტრი ძალიან მომწონდეს, მაგრამ ესაა სუბიექტური დამოკიდებულება.

— მოგწონთ მთავრობის ახალი შემადგენლობა?

— ასე ვერ შევაფასებ... თუ ადამიანური კუთხით უნდა ვილაპარაკოთ, მაშინ საჯაროდ რატომ ვისაუბრო? თუ ვინმე არ მომწონს, ესეც ჩემი პირადი საქმეა რაც შეეხება პროფესიულ კუთხეს, მაგალითად, თავდაცვის მინისტრად როგორ იმუშავებს თინა ხიდაშელი, ამას ვერ გეტყვით, რადგან თავდაცვის სფერო ძალიან სპეციფიკურია. ჩემთვის რომ ვინმეს შემოეთავაზებინა თავდაცვის მინისტრობა, რა თქმა უნდა, უარს ვეტყოდი.

— თინა ხიდაშელს აქვს პოტენციალი, იყოს თავდაცვის ეფექტური მინისტრი?

— ქალბატონ თინას აქვს მონაცემები, იყოს თავდაცვის მინისტრი. ის, რომ კანდიდატები ქვეყნის პოლიტიკისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, ცალსახაა; მეორე მხრივ, ეს მინისტრები, ძველებიც და ახლებიც, მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა მუშაობდნენ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ის პროცესები, რაც სამინისტროში მიმდინარეობს. რაც შეეხება პარლამენტს, უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, მათი საქმიანობა საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში ავიყვანოთ.

— „ქართული ოცნების“ წევრს, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ არჩევნებამდე 1 წლით ადრე მთავრობის ცვლილება?

— არჩევნებამდე 1 წლით ადრე მინისტრების ცვლილება არ მგონია პრობლემა იყოს. საკადრო ცვლილებებს განაპირობებს რიგი მიზეზები და მინისტრის პიროვნულ მდგომარეობაზეცაა დამოკიდებული. შესაძლებელია, ვიყო მინისტრი და არჩევნებამდე სამი თვით ადრე გადავიდე ოპოზიციაში; შეიძლება, მინისტრმაც დაკარგოს მოტივაცია. ზოგადად, მგონია, თუ სისტემა კარგად იქნება ორგანიზებული მინისტრების ცვლილებაც პირობითი იქნება. იცით, არიან პოლიტიკური ფიგურებიც, მაგალითად, ირაკლი ალასანია. იგი რომელი სამინისტროს ხელმძღვანელიც უნდა ყოფილიყო, მაინც პოლიტიკური ფიგურა იქნებოდა.

— მედიაში საუბარი იყო კულტურის მინისტრისა და სპორტის მინისტრის ახალი კანდიდატის შესაძლო ცვლილებაზე. არც ამასთან დაკავშირებით ფლობთ ინფორმაციას?

— კულტურის სამინისტროში შესაძლო ცვლილებებზე ვერაფერს გეტყვით. ეს ის სამინისტროებია, რომლებიც ნაკლებად მეხება. თუ, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გაყოფას ვემხრობით, სიმართლე გითხრათ, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არსებობაში ლოგიკას ვერ ვხედავ. თუმცა მათი არსებობითაც არაფერი შავდება. მაინც მგონია, რომ თავის დროზე, ეს სამინისტროები უფრო სუბიექტური მოტივაციებით შეიქმნა. სააკაშვილის დროს უნდოდათ ვინმე მინისტრად დაენიშნათ და ქმნიდნენ სამინისტროს, იყო ასეთი პრაქტიკა. ახლა კი გვაქვს ეს მოცემულობა და არ ვშლით, თუმცა ერთი სამინისტრო, სადაც ამ სფეროებს დეპარტამენტები უხელმძღვანელებს, ვფიქრობ, საკმარისი იქნებოდა.

— შსს-ს დაყოფა ახსენეთ, როგორ გესახებათ უწყების სტრუქტურული დახვეწა და პარლამენტში უკვე შესულია თუ არა შესაბამისი კანონპროექტი?

— შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაძლოა გაიყოს და თუ ასე მოხდა, უწყებას მინისტრიც ეყოლება. თუმცა წინასწარ თქმა, რომ მაინცდამაინც ასე იქნება, ნაადრევია. ჯერ უნდა შემოვიდეს კონცეფცია, მერე განვიხილოთ და მოვიწონოთ... უამრავი პროცედურაა გასავლელი. ჯერ ყველაფერი იდეის დონეზეა, მსჯელობაც დიდი ხანია მიდის. როგორ მოხდება შსს-ს სტრუქტურული დახვეწა, წინასწარ ძნელი სათქმელია, თუმცა პრინციპი, როგორ განხორციელდეს ეს, ახლავე შემიძლია გითხრათ. შსს-ს დაყოფის მიზანი ისაა, რომ ერთ სამინისტროს არ ჰქონდეს ბევრი ფუნქცია. ვფიქრობ, ცალკე უწყების მართვა უფრო სწორი იქნება.

„ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ თავმჯდომარე „ვერსიას“ ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა და ევროკავშირის შესაბამისი გადაწყვეტილებებით, ევროპის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, 2015 წლის 17 ივნისამდე, ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე უნდა გადავიდეს. რეფორმის შესახებ მომხმარებელს საშუალება აქვს, სასურველი ინფორმაცია მიიღოს ცხელი ხაზის (ტელ: 1480), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ვებ და სოციალური გვერდების, ფლაერების, ტელევიზიებში განთავსებული სოციალური რეკლამის სტატუსის მქონე ვიდეორგოლებისა და პრესაში გამოქვეყნებული სტატიების საშუალებით.

აქტიური საინფორმაციო კამპანიის შედეგად, „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ცხელ ხაზზე შესული ზარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებას უამრავი კითხვა დაუგროვდა, მათ შორის ისეთ საკითხებზეც, რაც სააგენტოს მანდატს სცილდება.

რატომ არ რეაგირებს სააგენტო ტელესივრცეში გასულ რეკლამებზე, რომლებსაც ციფრული მაუწყებლობის შესახებ ალტერნატიული ტელევიზიები და სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიები, სააგენტოს რეკლამების პარალელურად აკეთებენ? არის თუ არა მათ მიერ წარმოდგენილი ვიდეოკლიპები საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა? რა პრინციპებს ეფუძნება სააგენტოს მიერ განხორციელებული პიარაქტივობა? „ვერსიის“ ამ და სხვა კითხვებს, „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ თავმჯდომარე, **ნინო ქუბინიძე** ექსკლუზიურად პასუხობს: **„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს როლი, საზოგადოების ინფორმირების კუთხით, შემოიფარგლება ორი ძირითადი მესიჯით, რომელიც მოსახლეობამდე უნდა მივიდეს: იცის თუ არა საზოგადოებამ, რომ 2015 წლიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადადის? და მეორე, გათვითცნობიერებულია თუ არა თითოეული მოქალაქე, რამდენად ეხება მას აღნიშნული რეფორმა? „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ თავის საქმიანობას მთავრობის მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა და რეკომენდაციების შესაბამისად ახორციელებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სააგენტო სახელმწიფო ორგანიზაციაა და მის მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანია არ ატარებს კერძო კომპანიებისთვის დამახასიათებელ სარეკლამო ხასიათს, მისი კლასიკური გაგებით. სააგენტო ცდილობს, მაქსიმალურად დაბალანსოს მოსახლეობისათვის მომზადებული საცნობარო მასალა იმისთვის, რომ დროულად მოამზადოს საზოგადოება ანალოგური მიწისზედა ღია საეთერო სიგნალის გათიშვისთვის და იმავდროულად, არ დაზარალოს კონკურენტული სატელევიზიო პლატფორმები, ოპერატორები, სამომხმარებლო ტექნიკის იმპორტიორები და სავაჭრო ქსელები“.**

ბუნებრივია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, კონკურსის წესით, ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელისთვის საჭირო სიხშირული რესურსის გაცემის შედეგად, ბაზარზე გაჩნდებიან კომერციული საეთერო ოპერატორები, როგორც ეროვნული, ასევე ადგილობრივი მასშტაბის, რომლებიც სავარაუდოდ, ბიზნესკონკურენციას გაუწევენ IPTV-ს, თანამგზავრულ და საკაბელო ტელევიზიებს. შესაბამისად, სააგენტოს მიერ რეფორმის შესახებ მოსახლეობისთვის ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდება ხდება, ერთი მხრივ, სააგენტოს დებულებით დაკისრებული ვალდებულების გათვალისწინებით და მეორე მხრივ, სატელეკომუნიკაციო სივრცის თითოეული ბიზნესმოთამაშის უფლებების დაცვით. ნინო ქუბინიძე: **„იგივე მიდგომითა და პრინციპებით ხელმძღვანელობს „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ ბაზარზე არსებულ თუ ახლადგახსნილ სამომხმარებლო ტექნიკის მაღაზიებსა და იმპორტიორებთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, მაღაზიებში იყიდება, როგორც ღია საეთერო მიწისზედა, ასევე სხვა, ალტერნატიული სატელევიზიო პლატფორმებისთვის საჭირო „სეთ-თოფ ბოქსები“. ჩვენ ვალდებულნი ვართ, მოსახლეობას ვაცნობოთ, თუ როგორი ფუნქციონალისა და პარამეტრების მატარებელი უნდა იყოს ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ტელემაუწყებლობისთვის დამახასიათებელი ტექნიკა, ხოლო მომხმარებელმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სად და რა ტიპის აპარატურა შეიძინოს. ციფრულ ღია საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლის რეფორმის პროცესში, „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ოფიციალური პარტნიორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი — „იბიარდი“, რომლის კონსულტანტები ყოველთვიურ რეჟიმში ახორციელებენ პროცესის მონიტორინგს და გვიზიარებენ გამოცდილებას. საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს მათი აქტიური ჩართულობითა და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც იმავდროულად, ასახავს და ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას“.**

ნინო ქუბინიძის განცხადებით, ანალოგური სიგნალის გათიშვამდე, ცოტა დრო რჩება. რეფორმის დასრულებამდე, პრესის საშუალებით, „ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“ არაერთხელ მიაწვდის მოსახლეობას მისთვის საინტერესო ინფორმაციას. მკითხველს შესაძლებლობა ექნება, რეფორმის შესახებ ხშირად დასმული კითხვები და პასუხები „ვერსიაშიც“ იხილოს.

აჭარის მაღალმთიანეთში ინტერნეტი ძვირადღირებული ფუფუნებაა

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ აჭარიდან

სოფლად მცხოვრები ოჯახები „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ მოდემის ინტერნეტით სარგებლობენ. ამ ტიპის ინტერნეტი კი ძვირადღირებული, დაბალსიხშირიანი, ლიმიტირებულია და სიხშირეც ამინდის ცვალებადობასთან ერთად იცვლება.



თამაზ შავაძე ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდაჭარაში ცხოვრობს. რამდენიმე თვის წინ სამ თანასოფლელ ოჯახთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ზედა ვაკე“ ჩამოაყალიბა. მათი მიზანი დიდაჭარაში წარმოებული რძის ადგილზე გადამუშავებაა. კოოპერატივს მუშაობისთვის რძის გადამამუშავებელი სპეციალური დანადგარი სჭირდება, რომელიც ძვირია, ამიტომ დაფინანსების მისაღებად სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და უცხოურ ორგანიზაციებს პროექტი წარუდგინა და როგორც თამაზ შავაძე ამბობს, მათთან მუდმივ კონტაქტშია, შეტყობინებებს იღებს და გზავნის კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ბატონ თამაზს ინტერნეტით სარგებლობა თვეში 35 ლარი უჯდება, ამბობს, რომ სრულყოფილ მომსახურებას მაინც ვერ იღებს.

აჭარის მაღალმთიანეთში „ონლაინსამყაროსთან“ წვდომა, ძირითადად, მხოლოდ მას აქვს, ვისთვისაც ინტერნეტი სჭირდება. ვგულისხმობ სტუდენტებს, პედაგოგებს, ექიმებსა და საჯარო მოხელეებს. რიგ სამსახურში ინტერნეტთან ხელმისაწვდომობას მომსახურე პერსონალი საკუთარი ხელფასით უზრუნველყოფს, ზოგან კი სახელმწიფო რესურსი იხარჯება.

ინტერნეტი აუცილებელია ამბულატორიის ექიმებისთვის, რადგან ისინი ყოველთვიურ ანგარიშს ჯანდაცვის სამინისტროსა და შესაბამის გამგეობებს უგზავნიან. ექიმები ინტერნეტით სარგებლობისთვის თანხას საკუთარი ჯიბიდან იხდიან, მეტიც — რადგან ამბულატორიები არ არის აღჭურვილი კომპიუტერით, ოჯახის ექიმმა თავად უნდა მოაწესრიგოს ელექტრონულად დოკუმენტაცია და გაგზავნოს.

ინგა აბულაძე ხულოს მუნიციპალიტეტში, რიყეთის ამბულატორიაში მუშაობს. მას ინტერნეტი ყოველდღიურად სჭირდება და როგორც ამბობს, ამისთვის ხელფასიდან 25-50 ლარს ხარჯავს: **„ჯეოსელის მოდემს ვიყენებთ და საკმაოდ ძვირი მიჯდება, თვეში 50 ლარიც დამიხარჯავს“.**

ქედაში, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების დაბებში არც ინტერნეტკაფეა, ის მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტში, ხიჭაურში, საპატრიარქოს ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის მიმდებარედ, გია ბერიძეს აქვს გახსნილი, თუმცა ერთი კვირაა ინტერნეტი აქაც დავალიანების გამო გათიშულია. **გია ბერიძე** ამბობს, რომ მომხმარებლისთვის ინტერნეტის მიწოდება ძვირი უჯდება: **„15 გიგაბაიტს 80 ლარად ვყიდულობდი და მომხმარებელს კარგ ინტერნეტს ვთავაზობდი. 1 საათით სარგებლობა 1 ლარი ღირდა. ინტერნეტმა, ფაქტობრივად, მოგება აღარ დამიტოვა და დროებით შევაჩერე. წინა წლებში ბევრი სტუდენტი იყო და შესაბამისად, მოთხოვნაც მეტი გახლდათ, წელს კი ახალგაზრდების რაოდენობა მცირდება, უნივერსიტეტიც აღიჭურვა ინტერნეტით და ეს მომხმარებელზეც აისახა, მხოლოდ ქსეროქსს ვამუშავებ კაფეში“.**

თამარ სურმანიძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში ცხოვრობს, ხიჭაურის უნივერსიტეტის მაგისტრია და ინტერნეტი თემების დამუშავებისთვის სჭირდება. თამარი „მაგთის“ მოდემით სარგებლობს და თვეში 30 ლარს იხდის. **„ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ. ჩემთვის ახალი ინფორმაციის მიღება უმნიშვნელოვანესია. 30 ლარი სოფლისთვის დიდი თანხაა და მიუხედავად იმისა, რომ ფულს ვიხდი, ფილმსაც ვერ ვნახავ, შეიძლება არ გახსნას და მეგაბაიტიც ბევრი იხარჯება. სოფლებში გაჰყავთ ინტერნეტის ხაზი, თუმცა ჩემს სოფელში არ გაუყვანიათ“.**

მუნიციპალიტეტების გამგეობები, რესურსცენტრები და საჯარო სკოლები სხვადასხვა ინტერნეტს იყენებენ. ინტერნეტის მიწოდება აქ იმაზეა დამოკიდებული, კონკრეტულ სოფელში რომელ მობილურ ქსელს აქვს კარგი სიხშირე. აჭარის მაღალმთიანეთში ინტერნეტი მხოლოდ საბაზო და საშუალო სკოლებშია ხელმისაწვდომი, დაწყებითი კლასების სკოლებში თითქმის არ არის ინტერნეტი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტების თვითმმართველ ორგანოებს, ქედაში „დელტანეტით“ სარგებლობენ, ხულოსა და შუახევის თვითმმართველობები კი „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ მოდემებით. საჯარო სკოლებში „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ ინტერნეტია, მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის სამს საჯარო სკოლას (ინწკირვეთის, ჟანივრისა და ნაღვარევის) ინტერნეტთან წვდომა სატელიტური თეფშით აქვს.

„ინტერნეტთან მუდმივად გვაქვს შეხება. სკოლებისთვის აუცილებელია, რადგან ელექტრონულ საქმისწარმოებაზე ვართ გადასულები. სკოლებში გვაქვს ინტერნეტი, თუმცა არის გარკვეული პრობლემებიც, ზოგ სოფელში მობილურსაც კი არ აქვს კარგი მიღება“, — ამბობს შუახევის რესურსცენტრის უფროსი **ედუარდ გოგრაჭაძე.**

„რესურსცენტრში „ოპტიკა“ ინტერნეტი გვაქვს. სკოლებში უმეტესად „მაგთის“ „ჰუავეის“ მოდემის ინტერნეტია. სამ საჯარო სკოლას ინტერნეტი „მაგთის“ სატელიტური თეფშით მიეწოდება, თუმცა ამ სახის ინტერნეტის სიხშირე ამინდზეა დამოკიდებული“, — ამბობს შუახევის რესურსცენტრის ერთ-ერთი სპეციალისტი **ჯაბა ქარცივაძე.**

სოფელი ნაღვარევი შუახევის მუნიციპალურ ცენტრს 34 კილომეტრითაა დაშორებული. აქ ხშირად მობილური კავშირის სიხშირეც დაბალია, ამიტომ ნაღვარევის საჯარო სკოლის დირექტორი **მერაბ ქათამაძე** ამბობს, რომ არაერთხელ ჩასულა რესურსცენტრში დოკუმენტების წარსადგენად, რადგან ინტერნეტით ვერ შეძლო მისი გადაგზავნა: **„ვზივარ და ველოდები ინტერნეტის სიხშირის მომატებას, რომ დოკუმენტაცია გადავგზავნო. ერთი გვერდი ინფორმაციის გაგზავნას მინიმუმ 20 წუთი სჭირდება. აქ მობილურიც არ იჭერს კარგად და ეს პრობლემა ხუთ სოფელს აქვს. არაერთხელ მივმართეთ გამგეობას, „მაგთსა“ და „ჯეოსელს“, მიმღები ანძა დაეყენებინათ, მაგრამ რატომღაც ვერ მოგვარდა. საკუთარი ფინანსებით ჯეომოდემი ვიყიდე, მაგრამ ვერ ვისარგებლე“.**

„ხულო მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, შესაბამისად, ინტერნეტი ისეთი სწრაფი არ არის, როგორც ქალაქში, მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ დოკუმენტაციის წარმოებაში პრობლემა არ შეგვექმნას. საბაზო და საშუალო სკოლებში ყველა მოსწავლეს მიუწვდება ხელი ინტერნეტთან. რაც შეეხება დაწყებითი კლასების სკოლებს, უმეტესი ახალაშენებულია და კომუნიკაციები ახლა შეგვყავს“, — აცხადებს ხულოს რესურსცენტრის უფროსი **ედუარდ მიქელაძე.**

კომპანია „დელტა-კომმა“ ბოჭკოვანი ინტერნეტის მაგისტრალის გაყვანა ბათუმი-ახალციხის მიმართულებით გასულ წლებში დაიწყო. აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი ალავიძე** აცხადებს, რომ მუშაობა დასრულებულია, პირველ ეტაპზე, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების დაბალი ზონის სოფლების დაფარვა მოხდება, სამომავლოდ კი კომპანია აჭარის მაღალმთიანეთის სოფლებსაც მოიცავს: **„მოსახლეობას ოპტიკურბოჭკოვან ინტერნეტს ვთავაზობთ. პირველ ეტაპზე სკოლებსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებს ვრთავთ, ქობულეთსა და ბათუმის შემოგარენში ვმუშაობთ. შესაძლებელია წელს დავიწყოთ ხაზის გაყვანა დაბა ხელვაჩაურსა და ახლომდებარე სოფლებში. ინტერნეტი გავიყვანეთ გონიოსა და კვარიათში, ახალსოფელში ახლა ვაპირებთ შესვლას. რაც შეეხება აჭარის მაღალმთიანეთს, მაგისტრალი გაყვანილია, მოსახლეობის ჩართვას მომავალი წლიდან დავიწყებთ და ეს იქნება ისეთივე კარგი ხარისხის ინტერნეტი, როგორიც ბათუმშია. სოფლის მოსახლეობის მთლიანი ჩართვა, მათ მოთხოვნაზეცაა დამოკიდებული“.**

აჭარის მაღალმთიან სოფლებში ინტერნეტის ხაზი (ბოჭკოვანი ინტერნეტი) კომპანია „სილქნეტსაც“ გაჰყავს. კომპანიის ინჟინერი **კოტე გოთუა** ამბობს, რომ მათ აქვთ სტრატეგიული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამუშაო გეგმა, თუმცა მასში არაა გაწერილი, კონკრეტული სოფლები ინტერნეტით როდის დაიფარება: **„გრძელვადიანი სტრატეგიით მთელი საქართველო უნდა დავფაროთ როგორც ინტერნეტით, ასევე სხვა კომუნიკაციებით. რაც შეეხება აჭარის მაღალმთიანეთს, ამ ეტაპზე სოფლების გავლით ინტერნეტის მაგისტრალი გაგვყავს, რომლის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. შემდეგ დაიწყება სოფლების დაფარვა, თუმცა საბოლოოდ შერჩეული არ არის, რა ტექნოლოგიით იქნება ჩართული მომსახურება და როდის. რაც შეეხება არსებულ ინტერნეტს, აჭარის მაღალმთიან სოფლებშიც ისეთივე სიხშირის ინტერნეტს მივაწოდებთ მომხმარებელს, როგორიც ბათუმშია“.**

აჭარის მოსახლეობა გზების მოწესრიგებას ითხოვს!

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად აჭარის მაღალმთიანეთში 2 მილიონ 67 635 ლარი დაიხარჯება

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ აჭარიდან

პროგრამის ფარგლებში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 216 სოფელში მოსახლეობის გადაწყვეტილების შესაბამისი ღონისძიება გატარდება. სოფლებში ჩატარებული კრებების მიხედვით ადგილობრივებმა, გასული წლის მსგავსად, პრიორიტეტად შიდასასოფლო გზების მოწესრიგება დაასახელეს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი გზების მოწესრიგებას მოხმარდება, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, კონკრეტულად რამდენი ლარი დაიხარჯება ამ მიმართულებით. როგორც მუნიციპალიტეტების გამგეობებში აცხადებენ, ყველა სოფელში ჩატარდა კრება და გამოიკვეთა პრიორიტეტები.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ზაზა აბულაძე** აცხადებს, რომ ოქმების დამუშავების შემდეგ, მონაცემებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაუგზავნიან იმის გასარკვევად, რამდენად შეესაბამება მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად დასახელებული ღონისძიება პროგრამას. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის საკრებულო პროგრამას დაამტკიცებს და სოფლებში სამუშაოები დაიწყება: **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხულოს წელს 909 061 ლარი გამოეყო. კრება 83 სოფელში ჩატარდა და მოსახლეობამ პრიორიტეტად კვლავაც გზების მოწესრიგება, აგრეთვე სანიაღვრე არხებისა და გარეგანათების მოწყობა, სასაფლაოების შეღობვა... დაასახელა. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი პროგრამას დაამტკიცებს, დავიწყებთ სამუშაოებს სოფლებში“.**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად შუახევის მუნიციპალიტეტში, შარშანდელთან შედარებით, წელს 3 602 ლარით მეტი თანხაა გამოყოფილი.

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის, **ედნარ შარაშიძის** თქმით, თანხის მატება მოსახლეობის რაოდენობის დაზუსტებამ გამოიწვია. მისი თქმით, შარშან რიგ სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა არასწორად იყო მითითებული: **„მალე გამოვაცხადებთ ტენდერს, მშენებლებთან ხელშეკრულებას, სავარაუდოდ, მაისის შუა რიცხვებში გავაფორმებთ. რაც შეეხება პრიორიტეტებს, მოსახლეობა ძირითადად, გზებზე რკინა-ბეტონის საფარის დაგებას, მოტობლოკების შეძენას, გარეგანათების მოწყობას ითხოვს“.**

ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, პროგრამის განსახორციელებლად, 22 282 ლარით ნაკლებ თანხას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტი — 65 სოფლისთვის 552 202 ლარია გამოყოფილი. ქედის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **სულიკო ბოლქვაძის** თქმით, ქედაშიც მოსახლეობამ სოფლის გზებზე ბეტონის დაგება მოითხოვა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინვენტარის შეძენასა თუ ინფრასტრუქტურული ღონისძიების გასატარებლად, არსებული კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებს არ ავალდებულებს, სამუშაოები ელექტრონული ტენდერით განახორციელონ. შესაბამისად, როგორ გატარდება ღონისძიებები — ტენდერით თუ ერთ პირთან მოლაპარაკებით, გადაწყვეტილებას გამგეობები მიიღებენ.

ზაზა აბულაძე იმედოვნებს, რომ სამუშაოების წარმოებისთვის ხულოში ელექტრონული ტენდერები არ გაიმართება: **„კრების საფუძველზე გამოვლინდება ის მეწარმეები, რომლებსაც შესასრულებელ სამუშაოებზე ხელშეკრულებას გავუფორმებთ. სამუშაოებზე იმავე სოფლის მცხოვრებლები დასაქმდებიან“.**

თბილისელები „სი-ტი პარკის“ წინააღმდეგ

ევთანდილ კახნიაშვილი
სამართლის დოქტორი

თბილისელი მძღოლებმა „სი-ტი პარკის“ წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს პერმანენტულად მართავენ. ისინი, პროტესტის სხვადასხვა ფორმით, ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირებებს ახსენებენ და „სი-ტი პარკის“ საქმიანობასაც აპროტესტებენ. მერიის მაღალჩინოსნებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მოქალაქეები ხელფასს ქალაქში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად უხდიან და არა „პერსონალური“ კაბინეტების მოსაწყობად ან ახლობლების დასასაქმებლად.

რის საფუძველზე შეუძლიათ მძღოლებს ჯარიმების გასაჩივრება

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხშირად ნაუცბათევად ვმოქმედებთ და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებას სრულიად უპასუხისმგებლოდ ვეკიდებით. შედეგად, ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომლის არც ხელისუფლებამ და არც მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო დროშის შინაარსი, ხოლო კონსტიტუციაში ისე შეგვაქვს ცვლილებები, თითქოს ჯიხურის ნისიების რვეული იყოს.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში, სიტყვით (ძირითადად, „უცხოელი მეგობრების“ დასანახად...) თითქოს სამართლებრივ სახელმწიფოსა და დემოკრატიულ ინსტიტუტებს ვამკვიდრებდით, საკანონმდებლო ბაზით და რეალური ქმედებებით კი პლუტოკრატიული რეჟიმი მივიღეთ. შედეგად, უმაღლესი და ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურები, არცთუ იშვიათად დემოკრატიული და ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვაზე ორიენტირებული მექანიზმების ნაცვლად, მავანთა ხუმტურებსა და კორუფციულ ინტერესებზე მორგებულ ინსტიტუტებს ამკვიდრებენ.

სამართლებრივი ნიჰილიზმის (სამართლის ნორმების არცოდნა ან აბუჩად აგდება) მკაფიო მაგალითია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს დედაქალაქში „ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების“ ამოქმედება, რომელიც დღეღამის ნებისმიერ მონაკვეთში „ოფიციალურად“, ფაქტობრივად, თაღლითობით გვძალავს ფულს და კორუფციული სქემის („სისტემური დანაშაულის“) ორგანიზატორებს გადასცემს. ამასთან, არ მეგულება მძღოლი, რომელიც შპს „სი-ტი პარკის“ საქმიანობით იყოს კმაყოფილი. ფაქტია, დედაქალაქში პარკირების პრობლემის მოწესრიგების ნაცვლად, აღნიშნული საწარმო, ფაქტობრივად, მხოლოდ ფულის აკრეფითაა დაკავებული და იმ თანხებს იჯიბავს, რომელიც წესით, სახელმწიფოს ან თბილისის ბიუჯეტში უნდა შედიოდეს.

მერიის ყოფილ მაღალჩინოსანთა და შპს „სიტი პარკის“ ხელმძღვანელთა ქმედებების სამართლებრივად შესაფასებლად 2015 წლის 2 მარტს მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოვითხოვე კორუფციული (სისტემური) დანაშაულის ორგანიზებასა და განხორციელებაში ბრალეულ პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენება. მიმაჩნია, რომ თბილისის მერიასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება და მასში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს — სახეზეა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული სისტემური დანაშაული, რომლის მონაწილეები არიან ის პარლამენტარები, რომლებმაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლში 2008 წლის 30 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით, უფლება მისცეს მერიას, სახელმწიფოს სახელით დაჯარიმების უფლებამოსილება გადაეცა „ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის“; მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, რომლებმაც შპს „სი-ტი პარკის“ ინტერესებში 2008 წელს დაამონტაჟეს და დღემდე ამონტაჟებენ საგზაო ნიშნებს იქ, სადაც ამის არავითარი აუცილებლობა არ არის და შპს „სი-ტი პარკის“ ის დამფუძნებლები და ხელმძღვანელები, რომლებიც პარკირების საფასურისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ევაკუირების გზით შემოსული თანხების მნიშვნელოვან ნაწილს „დივიდენდების“ (ე.წ. ატკატის) სახით უნაწილებენ პარლამენტისა და თბილისის მერიის მაღალჩინოსნებს.

პროკურატურა თუ დაინტერესდება, საბოლოოდ ვის ხელში აღმოჩნდა მოქალაქეებისგან, ფაქტობრივად, თაღლითობით გამოძალული ათეულობით მილიონი ლარი, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სი-ტი პარკი“ სუფთა მოგების გარეშე არასოდეს დარჩენილა და ბიუჯეტში იმის მეათედიც არ შეაქვს, რასაც პარკირების გადასახადის სახით და ავტომანქანების ევაკუირებით კრეფს, დარწმუნებული ვარ, იმ მაღალჩინოსნებზეც გავა, ვინც საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ამკვიდრებდნენ კორუფციულ მექანიზმებს ან მერიაში ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს...

სანამ რეაგირებას მოახდენენ, გადავწყვიტე „სამართლიანობის აღდგენაში“ სამართალდამცავ ორგანოებს მეც დავეხმარო და დამოუკიდებლადაც ვიმოქმედო. აღარ ვიხდი პარკირების საფასურს, ხოლო გამოწერილ საჯარიმო ქვითრებს ჯერ მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, შემდეგ კი, თბილისის საქალაქო სასამართლოში ვასაჩივრებ (ერთი საქმე უკვე მოვიგე და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდები). იგივეს ვურჩევ თბილისელებსაც. დაჯარიმებულ მძღოლებს, საჯარიმო ქვითრების გასაჩივრება შემდეგი საფუძვლით შეუძლიათ მოითხოვონ:

საქართველოს კონსტიტუციამ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ მოგვანიჭა უფლება, დაუბრკოლებლად ვისარგებლოთ საკუთარი ქონებით და თავისუფლად გადავადგილდეთ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო ამ უფლებების შეზღუდვა მხოლოდ ე.წ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების ინტერესებშია შესაძლებელი;

ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად მოქალაქის ცნობა და მის მიმართ სანქციების გამოყენება, მხოლოდ სახელმწიფოს (ანუ, საჯარო მოსამსახურის ან სსიპ-ში დასაქმებულის) კომპეტენციას განეკუთვნება. დაუშვებელია, კერძო სამართლის იურიდიული პირი (საწარმო) ფიზიკურ პირს (მოქალაქეს) სახელმწიფოს სახელით ან პარლამენტის მიერ განსაზღვრული ნორმის საფუძველზე აჯარიმებდეს;

საქართველოს უზენაესი კანონის თანახმად სახელმწიფო ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას და საქართველოში აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა. ფაქტია, კერძო სამართლის იურიდიული პირი — შპს „სი-ტი პარკი“ მონოპოლიური საწარმოა, რომელსაც კონკურენტი არ ყავს;

თბილისის მერიასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის ხელშეკრულება არაუფლებამოსილი პირის მიერ არის ხელმოწერილი. საქართველოს კონსტიტუციის 2007 წლის რედაქციის თანახმად, თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე მხოლოდ არჩევნების გზით უნდა გამწესებულიყო. ამასთან, უზენაესი კანონითვე „არავის აქვს უფლება, უკანონოდ მოიპოვოს ან მიითვისოს ხელისუფლება“. 2007 წლის 07 ნოემბრამდე მოქალაქე გიგი უგულავა თბილისელებს მერად არ აურჩევიათ. ის „ვარდების რევოლუციის“ (ხელისუფლების ძალისმიერი ცვლის!) შემდეგ მიშა სააკაშვილმა კონსტიტუციის დარღვევით (თვითნებურად) დანიშნა. ამდენად, მოქალაქე უგულავას უფლება არ ჰქონდა, თბილისის მერის სახელით მოეწერა ხელი ოფიციალური დოკუმენტებისთვის ან დაედო გარიგებები;

შპს „სი-ტი პარკს“ არ შეუსრულებია ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების დიდი ნაწილი. კერძოდ: არ განუხორციელებია ინვესტიციები ავტოსადგომების მოსაწყობად, რიგ ქუჩებზე დაჯარიმებას ახდენს თვითნებურად და ახორციელებს ევაკუაციას იმ ადგილებიდან, რომლებიც არ არის შეთანხმებული მერიის შესაბამის სამსახურებთან, ახდენს ისეთი ავტომობილების დაჯარიმებას და ევაკუაციას, რომლებიც არ აფერხებენ მოძრაობას და არც საფრთხეს უქმნიან მოძრაობის მონაწილეებს, არ იყენებს თვლების ბლოკირების მოწყობილობებს, არ გასცემს პარკირების ერთდღიან უფლებას, არ შეაქვს დედაქალაქის ბიუჯეტში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები და სხვა;

შპს „სი-ტი პარკი“ არ შეიძლება გვიკრძალავდეს დედაქალაქის ქუჩებში ავტომობილის პარკირებას, ფაქტობრივად, ყოველდღე გვაჯარიმებდეს 10 ლარით და გვემუქრებოდეს მისი ევაკუირებით, თუ 12 საათზე მეტ ხანს დავტოვებთ იმ ადგილზე, სადაც პარკირება ოფიციალურად დაშვებულია. მით უმეტეს, თუ ავტომობილი არ აფერხებს მოძრაობას, საფრთხეს არ უქმნის ფეხით მოსიარულებს ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებს, არ ქმნის ავარიულ სიტუაციას და არც რომელიმე სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს ხელყოფს;

დედაქალაქის ცალკეულ გზებზე ავტომობილით გადაადგილების ან სავალ ნაწილზე პარკირებისთვის მოსაკრებლის დადგენა შეუძლია მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. ამდენად, შპს „სი-ტი პარკის“ მიერ მერიასთან შეთანხმებით დაწესებული 50-ლარიანი „პარკირების საფასური“, ფაქტობრივად, წარმოადგენს თაღლითობის გზით მოქალაქეებისგან მითვისებულ ფულს;

დედაქალაქის ცენტრშიც კი მრავალ ადგილზე სრულიად გაუმართლებლად (და არცთუ იშვიათად, კანონის დარღვევით...) დგას საგზაო ნიშნები „გაჩერება აკრძალულია“, თუმცა გზის ამ მონაკვეთებზე გაჩერებული ავტომობილები არც სხვა სატრანსპორტო საშუალებებს აფერხებენ და არც ფეხით მოსიარულებს უქმნიან რაიმე პრობლემებს. ამასთან, არცთუ იშვიათად, შპს „სი-ტი პარკის“ ინტერესებში პარკირების ადგილები სრულიად არაგონივრულად და კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ არის მონიშნული;

შპს „სი-ტი პარკის“ საგზაო ნიშნები არ არის დაფარული სინათლის ამრეკლი ზედაპირით და არ შეესაბამება საგზაო ნიშნების შესახებ ევროპული კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც არ შეიძლება, მათი დაუმორჩილებლობა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, 27 მარტს განცხადებით დედაქალაქის მერსაც მივმართე და მოვთხოვე თბილისის მერიასა და შპს „სი-ტი პარკს“ შორის 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა კორუფციული არსისა და კანონთან შეუსაბამობის გამო. თუ ამ დღეებში ბატონ დავით ნარმანიასგან პასუხს ვერ მივიღებ, აუცილებლად მივმართავ სასამართლოს და თბილისელების მხარდაჭერით შევეცდები „სამართლიანობის აღდგენას“. იმედი მაქვს, ამ მიმართულებით ე.წ. არასამთავრობო სექტორიც გააქტიურდება და საკრებულოს წევრთა დიდი ნაწილიც მხარს დამიჭერს.

რამოდენიმე პოლიტიკური პარტიის მესვეურები სამართლიანობის აღსადგენად აქტიურ ქმედებებზე გადავიდნენ და საზოგადოების ინტერესების დასაცავად „სი-ტი პარკის“ უკანონოდ განთავსებული საგზაო ნიშნების დემონტაჟი დაიწყეს, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის ინიციატივით, თბილისელები მერიასთან შევიკრიბეთ და „სი-ტი პარკთან“ დადებული ხელშეკრულების გაუქმება მოვითხოვეთ. ვინაიდან მერიის მესვეურთა მხრიდან რეაგირება არ მომხდარა და მხოლოდ მოლაპარაკებების დაწყების მორიგი დაპირება მივიღეთ, მძღოლებმა გადავწყვიტეთ, რეგულარულად გავმართოთ მასშტაბური საპროტესტო აქციები.

იქნებ ერთობლივი ძალისხმევითა და სამოქალაქო აქტიურობით მაინც მივაღწიოთ ნაციონალური მოძრაობის მიერ დანერგილი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კორუფციული სქემის („სისტემური დანაშაულის“) გამოვლენას და თბილისში პარკირების საკითხის მოგვარებას, რის შემდეგაც, პერსპექტივა გაგვიჩნდება სხვა სფეროებშიც (ბანკები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ელექტროენერგიის, საწვავის, სამკურნალო საშუალებების ბიზნესი, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია, არჩევნები, კონკურსები და სხვა) ვეღირსოთ „სამართლიანობის აღდგენას“. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან განვლილი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში დედაქალაქში საგზაო ნიშნებისა და პარკირების საკითხიც კი ვერ მოვაწესრიგეთ, მერწმუნეთ, ევროკავშირში კი არა, ევრაზიულშიც აღარავინ გაგვიკარებს...

ვერსიანიუსი

მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტს გიორგი ამაშუკელი უხელმძღვანელებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დეპარტამენტის ახალ უფროსს შეხვდა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია რეგიონების განვითარებასა და რეგიონში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე. გიორგი ამაშუკელმა პირველი დავალება მიიღო მთავრობის მეთაურისგან – დაინტერესდეს ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოებით და აქტიურად ჩაერთოს რეგიონებში მიმდინარე პროცესებში. გიორგი ამაშუკელმა პრემიერს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

გიორგი ამაშუკელი დღემდე იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე. დამთავრებული აქვს თსუ-ს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და ლივერპულის ჯონ მურსის სახელობის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), მაგისტრის ხარისხი, სპეციალობა: ბიზნეს და კომერციული სამართალი.

„პირველი“

1.აფრიკის სახელმწიფო გამბიის დედაქალაქი
2. ფუჭი, უშედეგო
3. სამოთხის ანტიპოდი
4. სახელურიანი დასაკეცი სათვალე
5. ლიტვის დედაქალაქი
6. თვის შუა რიცხვები ძვ. რომში
7.ილეთი ელასიკურ ჭიდაობაში
8. აუხდენელი ოცნება, ფანტაზია
9. იგივეა, რაც სარკმელი
10. მშვილდით სასროლი ჯოხი
11. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
12. გვარის მეთაური არაბულ ქვეყნებში
13. ფრანგი კომპოზიტორი
14. მარტის ძველქართ. სახელწოდება
15.ფრანგი მსახიობი ფილიპ ...
16. პუშკინის გადიის სახელი
17. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
18. გამოუვალი მდგომარეობა
19. საწარმოთა გაერთიანების ფორმა
20. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა
21. პოპულ. კომპიუტერული თამაში
22. ძველებური თოფი
23. ინგლისელი ფეხბურთელი
24. ცოცხლად-შობა
25. პოპულარული სალათა
26. ჰიტლერის მეუღლის გვარი
27. ინდიელთა ტომი
28. ვაზის ბაღი
29.მაგარი ალკოჰოლური სასმელი
30. ჭადრაკის ფიგურა
31. მდინარე საფრანგეთში
32. დათა თუთაშხიას და
33. ნაგვის ყუთი
34. ინდუსების სულიერი მოძღვარი
35. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
36. მაუგლის გამზრდელი მგელი
37.ყურძენ ი ზაბელას მეორე სახელი
38. „შევროლეს“ მოდელი
39.მიწაში ამოთხრილი ადგილი
40. ახალზელანდიური მგალობელი ფრინველი
41. ევროპის საფეხბურთო ფედერაცია
42. იგივეა, რაც ბურუსი
43. კრემიანი ნამცხვარი
44. დიზაინერი დონა ...
45. ნესტანდარეჯანის მამიდა
46. სოფ. მესტიაში
47.ბათუს ცოლი
48. ყველაზე დიდი ანტილოპა
49. ქალაქი ირლანდიაში
50.წვრილი ხმის გამომცემი სიმი ჩონგურში
51. ვარსკვლავის წვერი
52. აღ. დიუმას „... წლის შემდეგ“
53. ქართული ანბანის I ასო
54. პირველი ჩემპიონი ჭადრაკში
55. ავტორი რომანისა „კაპიტან გრანტის შვილები“
56. მუსიკ. გამის IV ნოტი
57. ჩვენი მნათობი
58.რქოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
59. ესპანელი ფერმწერი
60. ქართული საცხენოსნო შეჯიბრება
61. ზღვის ძუძუმწოვარი
62. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში



გედმეტი რუჯვისგან მოწყობილობა დაგიცავთ

ბრიტანელმა სწავლულებმა ახალი პორტატული მოწყობილობა შექმნეს, რომელიც მომხმარებელს ულტრაიისფერი სხივების ჭარბ რაოდენობას ამცნობს. მცირე ზომის მოწყობილობა განსაკუთრებული სენსორებისგან შეიქმნა, რომელიც ადამიანის კანზე მზის სხივების რაოდენობას ზომავს და პატრონს ჯანმრთელობისთვის საშიში რუჯისგან იცავს. სიახლე სმარტფონის აპლიკაციის მეშვეობით, მომხმარებელს ინფორმაციას აწვდის და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციას აძლევს, მზისგან თავი დაიცვას. მაგალითად, მომხმარებელი იღებს ინფორმაციას პიგმენტური ლაქების შესაძლო გაჩენაზე. სწავლულები ახლა აპარატის დიზაინის დახვეწაზე მუშაობენ, რათა მომხმარებელმა მისი ტარება ნებისმიერ დროს შეძლოს.

სწავლა ძილის დროსაც შეიძლება



სიდ კვადიე — უმაღლესი სკოლის პროფესორი აცხადებს, რომ ადამიანს სწავლა ძილის დროსაც შეუძლია. თუკი რამე საქმეს ძილის წინ დაიწყებთ, ტვინი მის შესრულებას ღამითაც გააგრძელებს. სწავლულმა ეს მოსაზრება 18 მოხალისის მაგალითზე დაამტკიცა. ის მათ ტვინს აკვირდებოდა. როცა ექსპერიმენტში მონაწილეები ფხიზლად იყვნენ, ჩანაწერებს ისმენდნენ, სადაც ჩამოთვლიდნენ ცხოველებს ან საგნებს. საჭირო იყო ღილაკზე მარცხენა ხელის დაჭერა, თუ სიტყვა ცხოველს ნიშნავდა, მარჯვენათი კი — საგანს. ამასთან, ტვინის აქტიურობასაც იკვლევდნენ.შემდეგ მონაწილეები ბნელ ოთახში შეიყვანეს და იქ დაწოლისა და ძილის ნება მისცეს. როგორც კი მოხალისეები იძინებდნენ, ირთვებოდა ახალი ჩანაწერი. მიუხედავად იმისა, რომ ღილაკზე ხელს არ აჭერდნენ, ტვინი სავსებით შეგნებულად რეაგირებდა გარედან მიწოდებულ ინფორმაციაზე.

ხელოვნური ხორცი ნატურალურს შეცვლის

მაასტრიხტის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ პოსტი დარწმუნებულია, რომ 10 წლის შემდეგ, ლაბორატორიაში ხელოვნურად გამოყვანილი ხორცი ისევე თავისუფლად გაიყიდება მაღაზიაში, როგორც ნატურალური. სწავლულის აზრით, ეს ერთადერთი საშუალებაა, პლანეტის მზარდი მოსახლეობის გამოსაკვებად და ცხოვრების საერთო დონის შესანარჩუნებლად. ხელოვნური ხორცის პირველი მომხმარებლები ახალგაზრდა ევროპელები იქნებიან, შემდეგ კი მისი ფასი დაიკლებს და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი გახდება, ნატურალური ხორცი კი მდიდრების საკვებად იქცევა. თანდათანობით კი ტრადიციული მეცხოველეობა აქტუალობას დაკარგავს. აღსანიშნავია, ომ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ჰოლანდიელმა სწავლულმა ზუსტი პროგნოზი გააკეთა „სინჯარის ჰამბურგერის“ გამოჩენის თაობაზე.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		3	7				9	
4			3		8			5
		2	5				8	
			1			8		
	5		6		4		1	
		9			5			
	3				2	7		
8			4		3			2
	2				7	9		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		9		3				
8			1			3		
3					4		9	7
					6		3	
9	8						4	1
	1		7					
7	2		5					9
		1			8			5
				7		4		

ᲠᲗᲣᲚᲘ

7								
1		9	7	5			3	
	6	5		1				
		7	1	9			2	
	5						8	
	4			7	3	9		
				2		3	7	
	9			3	7	2		1
								6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6			9					
			1	4	8	7		
7		4				1		8
9	8							
			8	5	3			
							7	6
8		9				3		1
		5	4	8	9			
					6			9

„ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ“ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

ახალი მოდელის ვესლოსიპედი, რომლის შემქმნელებიც ნიდერლანდელი სწავლულები არიან, მომხმარებელს მოსალოდნელი საფრთხეებისა და დაბრკოლებების თაობაზე წინასწარ ატყობინებს. სიახლეს საჭის ქვეშ რადარების სიტემა აქვს ჩამონტაჟებული. სისტემა წინასწარ ამოწმებს გზას და დამაბრკოლებელი ობიექტების ამოცნობას ახერხებს. ველოსიპედისტი კი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეტყობინებას ვიბრაციით იღებს, რომლის სისტემა საჭესა და სავარძელთანაა დამაგრებული და ეს ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ინფორმაციის მიწოდებისთვის, — აღნიშნავენ ჰოლანდიელი გამომგონებლები. „ჭკვიანი“ ველოსიპედის შექმნის მიაზანი ქვეყანაში ამ ტრანსპორტით გამოწვეული უბედური შემთხვევების რიცხვის შემცირებაა. გადაადგილების ამ საშუალებით ავარიისას ნიდერლანდებში მარტო შარშან 184 ადამიანი დაიღუპა. მოდერნიზებული ტრანსპორტის ავტორები ამჟამად ვესლოსიპედის დიზაინის დახვეწაზე მუშაობენ და ცდილობენ, მისი წონა შეამცირონ, რადგან ამჟამად 25 კილოგრამს იწონის. როგორც ავტორები ვარაუდობენ, მათი ქმნილება ბაზარზე გასაყიდად დახლოებით ორ წელიწადში გამოვა და 1700-დან 3200 ევრომდე ეღირება.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ყოველი ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფერის კედლები აქვს სახლში, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ სწავლულები და დასძენენ, რომ სინათლეს შეუძლია გამოიწვიოს დეპრესია ან პირიქით, განწყობის ამაღლება. სპეციალისტები ამბობენ, რომ ღია-ნარინჯისფერს შეუძლია საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები „შექმნას“, ასევე გამოიწვიოს კანის ქავილი და გაღიზიანება. ინტერიერში თეთრი ფერი არ უნდა დომინირებდეს, რადგან თეთრი შენობები სტერილური გვეჩვენება და პოზიტიურ ემოციებს თრგუნავს. როგორც სწავლულები ამბობენ, მუქ ფერებში შეღებილ ოთახებში დიდხანს ყოფნა კი შესაძლოა, დიაბეტის, ჭარბი წონისა და ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მიზეზი გახდეს. სპეციალისტები არ ურჩევენ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, საძინებელში თხელი, ნახევრად გამჭვირვალე ფარდები დაკიდონ, რადგან მათში შემოსული შუქი, თურმე ჭარბწონიანობას იწვევს.

ᲟᲘᲚᲚᲔᲢᲘ ᲣᲡᲘᲜᲐᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სპეციალური ჟილეტი, რომელიც უსინათლოებს გადაადგილებაში დაეხმარება, პალესტინელმა სტუდენტებმა შექმნეს. სიახლე სენსორებითაა აღჭურვილი, რომელიც მოსალოდნელი დაბრკოლების შესახებ ინფორმაციას წინასწარ აწვდის მომხმარებელს. კერძოდ, ვიბრაციითა და ხმოვანი შეტყობინებით, უსინათლო ადამიანი იგებს, რომ წინ ბარიერია. სტუდენტების გამოგონება შეიძლება, ჯოხის ალტერნატივა აღმოჩნდეს. ჟილეტი წინასწარ გატყობინებს, დაბრკოლება მარჯვნივაა თუ მარცხნივ. ეს შესანიშნავი სიახლეა, — ამბობს ერთ-ერთი უსინათლო, რომელმაც გამოსაცადა სპეციალური „ჭკვიანი“ ჟილეტი. გამოგონების ავტორები კი აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ დასახვენი და ამისთვის ფინანსური და მორალური მხარდაჭერა სჭირდებათ. მათი თქმით, სპეციალური ჟილეტის შექმნის მიზანი უსინათლოების საზოგადოებაში ინტეგრირება და მათი ცხოვრების გამარტივებაა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8	7	4	6	9	5	3	1	2
6	5	3	4	2	1	9	8	7
2	1	9	3	8	7	6	5	4
7	9	6	2	5	8	4	3	1
3	8	2	1	4	9	7	6	5
1	4	5	7	3	6	8	2	9
5	3	1	9	6	4	2	7	8
9	2	8	5	7	3	1	4	6
4	6	7	8	1	2	5	9	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	5	2	9	4	6	3	7	1
1	9	7	8	3	2	6	5	4
6	4	3	5	7	1	2	9	8
9	8	1	2	6	7	5	4	3
4	3	6	1	5	9	8	2	7
7	2	5	4	8	3	1	6	9
5	1	4	7	2	8	9	3	6
3	7	9	6	1	5	4	8	2
2	6	8	3	9	4	7	1	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	1	8	9	7	5	2	6	3
5	6	9	3	4	2	1	8	7
3	7	2	1	6	8	4	5	9
2	3	1	8	9	7	6	4	5
6	4	5	2	3	1	9	7	8
9	8	7	6	5	4	3	2	1
1	2	6	7	8	9	5	3	4
8	9	4	5	2	3	7	1	6
7	5	3	4	1	6	8	9	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	4	1	8	2	5	9	7	6
7	5	6	4	9	3	2	1	8
2	9	8	1	7	6	4	5	3
5	1	9	6	4	2	8	3	7
8	3	7	5	1	9	6	4	2
4	6	2	7	3	8	5	9	1
9	8	5	3	6	7	1	2	4
1	2	3	9	8	4	7	6	5
6	7	4	2	5	1	3	8	9

მე-10 გვერდი: 1. ყარყატი; 2. ამპლუა; 3. ყალიონი; 4. ტონა; 5. კანტატა; 6. ამია; 7. ტაბლოიდი; 8. ტეკილა; 9. აპოლონი; 10. თრუსო; 11. გონიო; 12. მიხაი; 13. დიუბეკი; 14. საირმე; 15. ურანოსი; 16. იმპიჩმენტი; 17. გოთუა; 18. სოული; 19. ბარნოვი; 20. მლაშე; 21. ალბუმინი; 22. მამონა; 23. იდა; 24. მარიანი; 25. ნიუ; 26. „მთიულური“; 27. მატისი; 28. ნანა; 29. სიო; 30. ფუგუ; 31. „თალგამი“; 32. პრინცი; 33. მაკაო; 34. მასმედია; 35. კოლბა; 36. კობრა; 37. ოროლი; 38. რეალია; 39. ლი; 40. ინტინა; 41. ოტია; 42. აის; 43. ლასო; 44. ორე; 45. კომპოტი; 46. ნო; 47. ბომარშე; 48. ალია; 49. არ; 50. ვო; 51. ურია; 52. ია; 53. ვინერი; 54. ირა; 55. პაპაია; 56. იაბო; 57. ორგია; 58. არგოსი; 59. ერ; 60. ტაეპი; 61. ფაუ.

მე-12 გვერდი: 1. სქოლიო; 2. ქსერქსე; 3. ლაურეატი; 4. ალმასი; 5. ლაზარე; 6. ალბანეთი; 7. ოქტეტი; 8. ტირამისუ; 9. ბრუნეი; 10. კრონა; 11. ოგიგია; 12. ემბაზი; 13. დელი; 14. სია; 15. ადრიანე; 16. ეგერი; 17. ბილბაო; 18. ამია; 19. ათი; 20. ორმო; 21. „ჰერტა“; 22. ფოფოდია; 23. გლასე; 24. ტრიგონომეტრია; 25. ფროიდი; 26. ფრენსის ფორდ კოპოლა; 27. მაგიდა; 28. ნეგლიჟე; 29. იმპრესიონიზმი; 30. მაო; 31. რელსი; 32. ავანსი; 33. დოსიე; 34. ებონიტი; 35. ნასა; 36. ვადა; 37. ოდა; 38. სუდარა; 39. მასრა; 40. ნიუ; 41. ალბა; 42. კრუიზი; 43. გერილია; 44. ალბა; 45. „აიდა“; 46. პაგოდა; 47. ოქრო; 48. რეკეტი; 49. ბრამსი; 50. პინო; 51. ნოკია; 52. მაია; 53. ელია; 54. ჟირაფი; 55. არა; 56. იაილო; 57. არიფი; 58. კრავი; 59. მატე; 60. ლაურა; 61. არე; 62. ვერა; 63. ასასი; 64. იმედი; 65. ოზმა; 66. საფრა; 67. სირ; 68. პან; 69. კილერი; 70. ატა; 71. პაატა; 72. რუქა; 73. დრო; 74. აბი; 75. კვირია; 76. სოს; 77. რიო; 78. ბზე; 79. აული; 80. კოლბა; 81. აზატი; 82. ზმა; 83. სააბი; 84. ფოსო; 85. კოპრა.

1. სააგარაკე სოფელი თბილისთან
2. სოფელი შუა აზიაში
3. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში
4. იაპონური ალუბალი
5. მათემატიკის ნაწილი
6. ფლორენციის სურათების გალერეა
7. საკვდომი ნერვის ანთება
8. მართლმადიდებელი ეკლესიის წესების კრებული
9. უფლის აღმნიშვნელი სიტყვა იუდაიზმში
10. დასავლეთ საქართველოს ძველქართული სახელწოდება
11. კურორტი მარტვილის რაიონში
12. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
13. იგივეა, რაც ძალა, ენერგია
14. გამოუწვავი აგური
15. ხურდა ფული შვეციაში
16. ზღვის სარეწაო თევზი
17. საგუნდო სიმღ. საკრავ. თანხლების გარეშე
18. გემის მზარეული
19. ჰოლივუდის მსახიობი ... პიტი
20. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით
21. ჰარის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი
22. საწვიმარი
23. საქართვ. ვალუტა
24. სოფელი დუშეთის რაიონში
25. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
26. ქართული ყოველ-კვირეული ჟურნალი
27. „დეტექტივების დედოფალი“
28. ლითონზე შესრულებული გრავიურის სახეობა
29. შხამიანი ბალახოვანი მცენარე
30. სასწორის თეფში
31. მთათა სისტემა ჩრდილოეთ ამერიკაში
32. ინდუსების სულიერი მოძღვარი
33. ზინედინ ზიდანის მეტსახელი
34. მორებისაგან შეკრული სამდინარო ტრანსპორტი
35. თაოსნობა რაიმე საქმეში
36. მზის ღმერთი ძველეგვიპტურ მითოლოგიაში
37. ხუროთმოძღვრების ძეგლი ისტ. კლარჯეთში
38. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
39. დიდი იტალიელი მეცნიერი
40. განთიადის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
41. ქალაქი დასავლეთ უკრაინაში
42. მამაკაცის სასიმღერო ხმა
43. ჩელენტანოს სახელი
44. მდინარე კიევში
45. უსაქმო, მოხულიგნო ადამიანი
46. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
47. მდინარე რუსეთის ციმბირულ ნაწილში
48. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
49. ფუტკრის სახლი
50. იმპერატორთა დინასტია ჩინეთში
51. ზურნის მსგავსი ჩინური საკრავი
52. რუსი ტანმოვარჯიშე ... კაბაევა
53. მუსიკალური გამის VI ნოტი
54. სახელმწიფო აფრიკაში
55. ბრაზილიური ცეკვა
56. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი
57. თოვლის კაცი
58. ნავთობის მოც. საზომი
59. ქართული ანბანის I ასო
60. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
61. ბანკში შესანახად შეტანილი ფული
62. ცირკის მოედანი
63. მაკედონ. დედაქალაქი
64. ქალაქი შუამდინარეთში
65. სარტყმელი მუსიკალური საკრავი
66. ზღვრული ნორმა
67. სოფელი ყაზბეგის რაიონში
68. ქალაქი, სადაც ბოლივუდი მდებარეობს
69. ქართლის მეფე
70. ...-დეჟანეირო
71. ზღვის პეიზაჟების მხატვარი
72. ამაზონის დელფინი
73. დედამიწის ანტიპოდი
74. კლადიმერ ბარქაიას მეტსახელი
75. საქონლის შესაფუთი ჭურჭელი
76. ებრაელთა საღღესასწაულო ხმიადი
77. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
78. იგივეა, რაც ჯიქანი
79. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა
80. ჭიდაობის ილეთი
81. იგივეა, რაც იალქანი
82. უკუზო აქლემი
83. საგანგებოდ გამხმარი ხილი
84. უმარტივესი ცხოველი, იგივე ქალამანა

კლუნის სახლთან მიახლოებისთვის დაჯარიმებენ

იტალიური დასახლება ლალიოს მერის გადაწყვეტილებით, ნებისმიერი ადამიანი, ვინც კი პოპულარული მსახიობის, ჯორჯ კლუნის ვილებს მიუახლოვდება კომოს ტბის ნაპირზე, 500 ევროთი დაჯარიმდება. როგორც ქალაქის თავი რობერტო პოცი აცხადებს, ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მსახიობისა და მისი მეუღლის მყუდროება მომაბეზრებელმა ცნობისმოყვარეებმა არ დაარღვიონ. ყოველი ადამიანი, ვინც კლუნის ვილებიდან — ოლეანდრასა და მარგერიტასგან 100 მეტრში ავტომანქანას გააჩერებს ან ნავს დააყენებს, აუცილებლად დაჯარიმდება. ჰოლივუდის მსახიობმა XVIII საუკუნის ულამაზესი ვილა ოლანდრა ჯერ კიდევ 2002 წელს შეიძინა 7,8 მილიონ ევროდ. მას შემდეგ კლუნის ფანებმა და პაპარაცებმა „აატალახეს“ ლალიო.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.